პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. კ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
სამშაბათი
18
დეკემბერი
№ 291 (4147)

## დღის ნომერში

— მისალმება ამხ. სტალინს (1-ლი გვ.).
— საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების გაერთიანებული პლენუმი (1-ლი გვ.).
— საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენები ქ. კიევში ტერორისტ - თეთრგვარდიელთა საქმეების გამო (1-ლი გვ.).
— საკ. კ. პ. (ბ) ა-კ. სამხ. კომ. მდივნის ამხ. კუდრიავცევის გამოსვლა ტფილისის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელ აქტივის კრებაზე.
— ს. ს. რ. კ-ის სახკომსაბჭოში (მე-2 გვ.).
— სერგეი მირონის-ძე კიროვის ხსოვნას (მე-2 გვ.).
— ამხ. კარახანი კეისარიაში (1-ლი გვ.).
— საბჭოთა კონტროლის კომისიაში (მე-2 გვ.).
— საბჭოების რაიონული ყრილობები (1-ლი გვ.).
— მზადება პურით ფართო ვაჭრობისათვის (მე-2 გვ.).
— სტატია: გრ მუშიშვილის ანარქიზმი და სოციალ ფაშიზმი ესპანეთში (მე-2 გვ.).
— უცხოეთის დეპეშები (1-ლი გვ.).

## პარტიული ხელმძღვანელობა უმაღლეს საფეხურზე

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის რეზოლუცია „პოლიტგანყოფილებათა შესახებ სოფლის მეურნეობაში“ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია. იგი მოწმობს პარტიის პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებას სოფლის ხელმძღვანელობაში, რამაც უზრუნველყო კოლმეურნეობების გადაქცევა მტკიცე და უძლეველ ძალად.

მ. ტ. ს-ების პოლიტგანყოფილებები რომლებიც შექმნილი იყო ამხ. სტალინის ინიციატივით, თავისი არსებობის ორი წლის მანძილზე პარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა ჩაატარეს სოფლად კოლმეურნეობათა განმტკიცების საქმეში.

ამ ხნის განმავლობაში პარტიამ მიაღწია სოფლისადმი პოლიტიკური ხელმძღვანელობის რადიკალურად გაძლიერება გაუმჯობესება. პარტიის მთელ მუშაობაში ხელმძღვანელობის დასაახლოვებლა სოფლის მეურნეობის პრაქტიკულ ამოცანებთან პოლიტგანყოფილებანი — აღმოჩნდნენ ერთ-ერთი გადამწყვეტი ბერკეტი.

ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ პოლიტგანყოფილებებმა სავსებით გაამართლეს თავისი თავი და ბოლშევიკურად შეასრულეს მათზე დაკისრებული დაკვრითი ამოცანა. პოლიტგანყოფილებათა დახმარებით პარტიამ თავის გარშემო დარაზმა უპარტიო საკოლმეურნეო აქტივის უდიდესი მასები. „კოლმეურნეთა მილიონების შეგნებაში დაინერგა სახელმწიფოს წინაშე თავის ვალდებულებათა პირველ რიგში შესრულების შეგნება“. პოლიტგანყოფილებათა ენერგიული ბრძოლით გამომჟღავნებული და ძირითადად განდევნილია კოლმეურნეობებიდან უცხო და მტრულად განწყობილი ელემენტები.

სოფლის დღევანდელი ვითარება ახალ გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს პარტიულ ხელმძღვანელობას. საკოლმეურნეო მშენებლობა როგორც ამხანაგ სტალინი ამბობდა ზრდის კომუნისტების პასუხისმგებლობას.

„მაგრამ გამოცდილებამ დაგვანახა რომ სოფლისადმი ხელმძღვანელობის ამოცანების ზრდის მიხედვით პოლიტგანყოფილებანი თავისთავად უკვე აღარ არიან საკმარისი, რომ საკოლმეურნეო სოფელში მთელი მუშაობისათვის — პოლიტიკური. სამეურნეო. კულტურული — საყოფაცხოვრებო (სკოლები საავადმყოფოები და სხვ.). მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად საჭიროა განმტკიცება ნორმალური პარტიული და საბჭოთა ორგანოებისა რომლებიც მოიცავენ მთელს მუშაობას: ადმინისტრატიულ სამეურნეო კულტურულ - საყოფაცხოვრებო, საფინანსო და სხვა მუშაობას“. (ც. კ-ის ნოემბრის პლენუმის რეზოლუციიდან).

ამიტომ იყო რომ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტის პლენუმმა პარტიის მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, პარტიის წესდების თანახმად, დაადგინა გადააკეთოს მ ტს-ების პოლიტგანყოფილებები ჩვეულებრივ პარტიულ ორგანოებად. შეუერთოს ისინი რაიონულ კომიტეტებს.

ეს მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ორგანიზაციული ღონისძიება უდიდესად აძლიერებს პარტიის სასოფლო რაიკომების როლს და პასუხისმგებლობას.

მტს-ის პოლიტგანყოფილებათა გადაკეთების შესახებ პლენუმის გადაწყვეტილების დედააზრი მდგომარეობს იმაში. რომ რაიონის საგრძნობლად განმტკიცებული პარტიული და საბჭოთა ორგანოების მეშვეობით უზრუნველყოს კოლმეურნეობის და სოფლის ცხოვრების ყველა მხარის მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობა, მომსახურება. საჭიროა. რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ თვითეულმა სასოფლო საბჭომ იგრძნოს რაიონული პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელობის კიდევ უფრო მეტად დაახლოვება.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი გვავალებს. რომ ზამთრის პერიოდი გამოვიყენოთ კოლმეურნეობების შემდგომი განმტკიცებისა, უპარტიოთა აქტივის დარაზმისა, კოლმეურნეობათა გამგეობების და თავმჯდომარეების მუშაობის გაუმჯობესებისა. კოლმეურნეთა საერთო კრებების როლის და მნიშვნელობის გაძლიერებისათვის პარტიის გარშემო მათი მჭიდროთ დარაზმისა და სოფლის პირველადი პარტორგანიზაციების შემდგომი განმტკიცებისათვის.

პოლიტგანყოფილებათა გადაკეთება ჩვეულებრივ პარტიულ ორგანიზაციებათ კიდევ უფრო აძლიერებს რაიონული კომიტეტები პასუხისმგებლობას და მოითხოვს კონკრეტული ხელმძღვანელობის განხორციელებას თვითეულ სოფლისა. კოლმეურნეობასა და თვითეული პირველადი პარტიული ორგანიზაციასა და ცალკეულ კომუნისტებზე. უნდა გვახსოვდეს. რომ სოფლად ჯერ კიდევ ბევრია ჩამორჩენილი კოლმეურნეობა. ჯერ კიდევ ყველგან არ არის ამოფხვრილი კოლმეურნეობებში კულაკური ელემენტების მავნებლური მუშაობა. კლასობრივი მტერი სარგებლობს ზოგიერთ სოფლის კომუნისტის და ზოგჯერ თვით რაიკომების ცალკეული მუშაკების კლასობრივი სიფხიზლის მოდუნებით აქედან ამოცანა: კიდევ უფრო გავაძლიეროთ პარტიული ორგანიზაციების. მისი ყველა რგოლის რევოლუციური სიფხიზლე.

გადაჭრით უნდა გავაძლიეროთ კომუნისტების ავანგარდული როლი კოლმეურნეობაში. კომუნისტების ავანგარდული როლის გაძლიერება და იდეური ზრდა დამოკიდებულია შინაპარტიული მუშაობაზე. ზოგიერთი რაიონული კომიტეტი დღემდე ვერ აქცევს საკმაო ყურადღებას შინაპარტიულ მუშაობის გამოცოცხლებას. რაიონული კომიტეტების ინსტრუქტორები, რომლების პირველ მოვალეობას წარმოადგენს პარტიულ ორგანიზაციებზე ხელმძღვანელობა და პრაქტიკული დახმარება პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელებისადმი ხშირად განაბრძობენ მხოლოდ სამეურნეო საკითხებზე მუშაობას და უყურადღებოდ ტოვებენ მათ ძირითად მოვალეობას — პარტიულ მუშაობას.

პარტიის სასოფლო რაიკომებს მუშაობის გარდაქმნა ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილების საფუძველზე ყოველგვარ შესაძლებლობას ქმნის იმისათვის. რათა მივაღწიოთ ახალ უდიდეს წარმატებებს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და მისი სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის ბოლშევიკურ ბრძოლაში.

ბოლშევიკურათ გავატაროთ ც კ-ის პლენუმის გადაწყვეტილება' კიდევ უფრო გავაძლიეროთ კონკრეტული ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებზე, გადაჭრით გავაუმჯობესოთ შინაპარტიული მუშაობა. გავზარდოთ კომუნისტების ავანგარდული როლი და იდეური მომზადების დონე—ასეთია ჩვენი გადაუდებელი საბრძოლო ამოცანა.

## ტრაქტორების რემონტს მეტი ყურადღება

სოფლის მეურნეობაში 1935 წლის მოცემულ დავალებათა შესრულებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სატრაქტორო პარკის შეუფერხებელ მუშაობას. ტრაქტორი საქართველოს სოფლის მეურნეობაში უკვე იქცა სერიოზულ ძალად; 33 სამანქანო-სატრაქტორო სადგური და 1500 ტრაქტორი ირიცხება ამჟამად საქართველოში. ცხადია, ხვნის, თესვის და მთელი რიგ სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროზე შესრულება დიდად არის დამოკიდებული [illegible] ამ სერიოზულ ბაზის შეუფერხებელ მუშაობაზე.

სარემონტო საქმე, რომ ჯერ კიდევ ყველგან არ გადაქცეულა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისა და მტს-ის პოლიტგანყოფილებების სერიოზულ საბრძოლო ამოცანად, ეს ნათლად ჩანს ტრაქტორების საშემოდგომო - საზამთრო რემონტის მიმდინარეობიდან.

15 დეკემბრისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მტს-ებს ტრაქტორების რემონტის მეოთხე კვარტალის გეგმა შესრულებული ჰქონდათ 26,6 პროცენტით (შეკეთებულია 58 ტრაქტორი). ტფილისის, მცხეთის, საგარეჯოს, ბორჩალოს, გურჯაანის, ულიანოვკის, ყვარელისა და ლაგოდეხის სამ.-სატრ. სადგურებს 15 დეკემბრისათვის რემონტიდან არც ერთი ტრაქტორი არ ჰქონდათ გამოშვებული. ყოველ მეხუთედღეში სათანადო ორგანოებისათვის [illegible] რემონტის შესახებ არავითარი ცნობები არ მოუწოდებიათ.

ბორჩალოს რაიონში ნაწილი ტრაქტორებისა შეკეთებულია, მაგრამ რემონტის ხარისხის ტექნიკური შემოწმების გაჭიანურების გამო იქ შეკეთებული ტრაქტორები მიღებული არ არის.

ბევრი რაიონი ტრაქტორის რემონტის ჩამორჩენას ამართლებს ხშირად ხვნის გაჭიანურებით, მაგრამ როგორ შეიძლება ერთი სამუშაოს დაგვიანებით, მეორეში ჩამორჩენის გამართლება და შემდეგ თუ ჩამორჩენაა. ხომ საჭიროა უფრო მეტი დაჭიმული და ენერგიული მუშაობა. ამას კი ბევრგან ვერ ვხედავთ.

ამავე დროს არიან სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, რომლებიც სამაგალითოდ ართმევენ თავს რემონტის გეგმების შესრულებას. ასეთია მაგალითად ყარაიას სადგური, რომელმაც ძირითადად უკვე დაამთავრა ტრაქტორების შეკეთება.

ბოლო უნდა მოეღოს მავნე ტრადიციას, როდესაც ტრაქტორების რემონტს აწარმოებდენ ხვნა-თესვის დაწყების მომენტში. მთელი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ტრაქტორების რემონტი და მათი ყოველმხრივ შემოწმება დამთავრდეს ზამთრის იმ პერიოდში, როდესაც შეუძლებელია მინდვრად მუშაობა, სამაგალითო და მოწინავე იქნება ის რაიონი და სამ. სატრაქტორო სადგური, რომელიც ტრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის რემონტს მთლიანად დაამთავრებს საგაზაფხულო ხვნა-თესვის დაწყებამდე ერთი თვით ადრე.

მაგრამ რემონტის ტემპების გაძლიერებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს ხარისხის გაუარესება, პირიქით, წელს ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სავსებით აღმოვფხვრათ წუნი სარემონტო სახელოსნოების მუშაობაში. ეს კი სავსებით შესაძლებელია, რადგან წელს სარემონტო კამპანია გაცილებით უფრო ადრეა დაწყებული, ხოლო სარემონტო სახელოსნოთა მუშაობის პირობებიც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია.

ტრაქტორების რემონტი თავის დროზე უნდა შესრულდეს, და შესრულდეს მაღალხარისხოვნად — ასეთია ურყევი დირექტივა.

## ჩინეთის წითელი არმიის წარმატებათა შესახებ

### იტალია აბისინიის კონფლიქტი

პარიზი, 16 დეკემბერი. ჟენევიდან იუწყებიან, რომ აბისინიამ ერთა ლიგის სამდივნოში გაგზავნა ნოტა, რომელიც მიუთითებს, რომ „იტალიის ჯარები სრულიად უსაბაბოდ ტანკებით და თვითმფრინავებით თავს დაესხნენ აბისინიის რაზმს“. „იტალიის აგრესიულ მოქმედებასთან დაკავშირებით, — ნათქვამია ნოტაში, —აბისინიის მთავრობა ლიგის ყურადღებას მიაქცევს შექმნილ მძიმე მდგომარეობას“.

როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება რომიდან, იტალიის მთავრობის წრეებში აცხადებენ, რომ იტალია - აბისინიის კონფლიქტი არ შეიძლება გადაიქცეს ერთა ლიგაში განხილვის საგნად, რამდენადაც ინციდენტი მოხდა, თითქოს, იტალიის ტერიტორიაზე. (ადს).

### საბჭოთა კავშირის საჩუქარი

პარიზი, 16 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ საფრანგეთის საავიაციო მუზეუმს აჩუქა სტრატოსტატ „ს.ს.ს.რ“-ის გონდოლის მაკეტი. რომელმაც დაამყარა სიმაღლეზე აფრენის მსოფლიო რეკორდი, და საბჭოთა თვითმფრინავების რამდენიმე მოდელი საავიაციო გამოფენაზე გაგზავნილ ექსპონატებიდან. ავიაციის მინისტრმა დენენმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობას საჩუქრისათვის (ადს).

### „გაზეტა პოლსკას“ კორესპონდენტის შიში

ვარშავა, 16 დეკემბერი. „გაზეტა პოლსკას“ მოსკოველი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ საფრანგეთის განსაზღვრული წრეები გაძლიერებით აჩქარებენ აღმოსავლეთის პაქტის დადებას, ამასთან კორესპონდენტი გამოთქვამს შიშს გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესაძლებელი გაუმჯობესების გამო და აცხადებს, რომ აგვისტოს დამლევს მოსკოვში ჩამოვიდა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის გამოჩენილი ემისარი, რომელსაც საბჭოთა ავტორიტეტულ წრეებთან ჰქონდა „უაღრესად საფუძვლიანი“ საუბარი ბერლინსა და მოსკოვს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ. კორესპონდენტის სიტყვით. მოსკოვმა ამ თემაზე შემდგომი ლაპარაკი დაუკავშირა გერმანიის თანხმობას აღმოსავლეთის პაქტზე (ადს).

### ანტი-იაპონური პროკლამაციები

შანხაი, 15 დეკემბერი. ხარბინიდან იუწყებიან, რომ 26 ნოემბერს მუკდენის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ვრცელდებოდა პროკლამაციები, რომლებიც მოუწოდებდენ ჩინელებს იაპონიასთან საბრძოლველად. თვით მუკდენში ცეცხლი წაუკიდეს რამდენიმე სახლს. მოხდა ჩხრეკა, დააპატიმრეს 100 კაცზე მეტი. 4 დეკემბერს დააპატიმრეს ქალაქ ხუანჩენის (მუკდენის პროვინციაში) პოლიციის უფროსი. მის ბინაზე აღმოაჩინეს საომარი მასალა, რაც დამზადებული იყო ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების სისრულეში მოსაყვანად (ადს).

### ყოველკვირეული ჟურნალი „ნეიშენი“

ნიუ-იორკი, 15 დეკემბერი. ლიბერალური ყოველკვირეული ჟურნალი „ნეიშენი“ სტატიაში ჩინეთის წითელი არმიის წარმატებათა შესახებ სიჩუანის პროვინციაში, აღნიშნავს, რომ წითელი არმია პირველად დამკვიდრდა სიჩუანის ჩრდილოეთ ნაწილში მას შემდეგ, რაც 1932 წლის დამლევს ჩატარდა გმირული ლაშქრობა ჩინეთის სამხრეთ ნაწილის მთებზე გადავლით. წითლებმა ხელში ჩაიგდეს დიდი ქალაქები ხაოსიაოი, ტუძიანსი, ბაჯოუ და სუიტინი. ეს ქალაქები ახლაც მათ ხელშია. იქ დამყარებულია საბჭოთა ხელისუფლება. მის მიერ გამოშვებული ბანკნოტები ძალაშია საბჭოთა ტერიტორიის გარეთაც. მოსახლეობა საბჭოთა ბანკნოტებს უფრო ხალისიანად ღებულობს, ვიდრე პროვინციალური მთავრობის ფასდაკარგულ ფულის ნიშნებს.

წითელმა არმიამ,—განაგრძობს „ნეიშენი“, — რომლის რაოდენობა ამ რაიონში 60 ათას კაცამდე აღწევს, 1934 წლის აგვისტოს დამლევს განახლა შეტევა და ლახვარი ჩასცა პროვინციის ჯარებს, რომელთა ზარალი 70 ათას მოკლულს და დაჭრილს აღემატება. წითლებმა ხელში ჩაიგდეს 30 ათასი თოფი.

პროვინციალური მთავრობის თავმჯდომარემ ლიუ სიანმა ვერ შესძლო დახმარების მიღება ადგილობრივ გენერლებისაგან, რომლებიც მას ნომინალურად ემორჩილებიან. პროვინციალური ჯარები თვეობით არ ღებულობენ ჯამაგირს. შემჩნეულია მასობრივი დეზერტირობა. პროვინციის მოსახლეობას შორის დიდი უკმაყოფილებაა. საადგილმამულო და სხვა გადასახადებს წინასწარ ახდევინებენ. როცა გადასახადების ამკრეფი მიდის, გლეხები სტოვებენ მიწებს და მიდიან მთებში. სადაც უერთდებიან აჯანყებულთა რაზმებს გლეხთა მოძრაობას კონტაქტი აქვს წითელარმიასთან.

დასასრულ, ჟურნალი ხაზგასმით აღნიშნავს. რომ ბუნებრივი სიმდიდრით სიჩუანი, რომლის ტერიტორია უდრის საფრანგეთის და გერმანიის ტერიტორიას ერთად აღებულს, სჯობნის ყველა დანარჩენ პროვინციებს, წითლებმა,—განაგრძობს ჟურნალი,— დიდ წარმატებას მიაღწიეს აგრეთვე გუიჯოუში (ადს).

### მორიგი ფაშისტური ანტისაბჭოთა სიყალბე

პარიზი, 15 დეკემბერი. ფაშისტებმა საარბრიუკენში მოაწყეს გამოფენა. გამოფენის ხასიათს საკმაოდ ნათელყოფს იქ მოთავსებული „საბჭოთა დეკრეტი ქალების ნაციონალიზაციის შესახებ“.

მუშათა მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა საარის ოლქის მთავრობის კომისიას გაუგზავნეს მრავალი ათეული ათასი მუშის პროტესტები ამ ანტისაბჭოთა ყალბი დოკუმენტის წინააღმდეგ (ადს).

კოლუმბიის (ამერიკა) უნივერსიტეტის პროფესორი გაროლდ კლეიტონ იური, რომელმაც ნობელის პრემია მიიღო ქიმიაში „მძიმე წყალის“ აღმოჩენისათვის.

### მუშაობის განახლება ასტურიის მაღაროებში

პარიზი, 15 დეკემბერი. ესპანეთიდან მიღებული ცნობებით. ასტურიის მაღაროებში მუშაობის განახლებასთან დაკავშირებით, ოვიედოში მადრიდიდან ჩამოვიდა პოლიციელთა ოთხი სპეციალური ბრიგადა, რომლებსაც დავალებული აქვთ შეაგროვონ ოვიედოს რაიონში ყველა მაღაროელის თითების ანაბეჭდები. ანაბეჭდები შეტანილი იქნება თვითეული მაღაროელის ბარათში სხვა ცნობებთან ერთად. „არაკეთილსაიმედო“ მუშებმა უარი განაცხადეს მაღაროებში გამოცხადებაზე მანამდე ვიდრე არ იქნება გაუქმებული „პოლიტიკური კეთილსაიმედობის“ მოწმობები. რომლებიც ამასწინათ შემოიღეს. კატალონიაში ხანგრძლივობის ვადის აღუნიშნავად შემოიღეს „დროებითი“ რეჟიმი. კატალონიის ავტონომია— 1931 წლის რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი მონაპოვარი—ფაქტიურად გაუქმებულია (ადს).

### საზღვაო მოლაპარაკება შეწყდება მომავალ კვირას

ლონდონი. 15 დეკემბერი. საგარეო საქმეთა მინისტრ საიმონის იაპონიის ელჩ მაცუდაირასთან და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელ დევისთან შეხვედრის შემდეგ საბოლოოდ გადაწყდა, რომ საზღვაო მოლაპარაკება შეწყდება მომავალ კვირას (ადს).

### ურუგვაის მოსკოველი ელჩის განცხადება საბჭოთა კავშირის შესახებ

მონტევიდეო, 16 დეკემბერი. აქ ჩამოვიდა ურუგვაის ელჩი საბჭოთა კავშირში და-კოსტა, რომელმაც პრესის წარმომადგენლებს განუცხადა. რომ მისი მუშაობა საბჭოთა კავშირში კეთილ და მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა „საბჭოთა კავშირი,—განაცხადა ელჩმა,—უდიდესი სამრეწველო ქვეყანაა. მისი მიღწევები მრეწველობაში უაღრესად თვალსაჩინოა“. [illegible] და-კოსტამ განაცხადა:

„მთელი საბჭოთა კავშირი—დედაქალაქიდან ციმბირის კანაპირებამდე — წარმოადგენს უზარმაზარ ფაბრიკას, რომელშიც სდუღს მუშაობა“.

საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების საკითხზე და-კოსტამ განაცხადა. რომ მისი აზრით. მონტევიდეოში მიმდინარე მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდება (ადს).

### ამხ. კარახანი კეისარიაში

კეისარი, 15 დეკემბერი. გუშინ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთში ამხ. კარახანი, რომელსაც ზეიმით შეხვდნენ. დღეს ამხ. კარახანი ათვალიერებს საფეიქრო კომბინატის მშენებლობას, რომელსაც საბჭოთა ინჟინრები აგებენ (ადს).

### ბულიტი ჩავიდა ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 15 დეკემბერი. 15 დეკემბერს ჩამოვიდა ამერიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ბულიტი ბულიტი ესაუბრა საგარეო საქმეთა მინისტრ ხელლს და სა[illegible] სხვა წარმომადგენლებს (ადს).

## საბჭოების რაიონული ყრილობები

### საბჭოების მე-3 სარაიონო ყრილობა

სამტრედია (სპეც. კორ.) 15 დეკემბერს ქალაქის მუშათა კლუბში გაიხსნა სამტრედიის საბჭოების მესამე სარაიონო ყრილობა. ყრილობა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მდივანმა ამხ. ს. არობელიძემ. რომლის წინადადებითაც ყრილობის დელეგატებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს კლასობრივი მტრის ხელით განგმირულ საუკეთესო ბოლშევიკის, ამხ. კიროვის ხსოვნას.

ყრილობამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიურო, ამხ. სტალინის მეთაურობით, ბერია, ტელმანი, მახარაძე, მუსაბეკოვი, მგალობლიშვილი და დიმიტროვი.

საქმიანი პრეზიდიუმისა და ყრილობის სხვა ხელმძღვანელი ორგანოების არჩევის შემდეგ, სამტრედიის რაიაღმასკომის მუშაობის ვრცელი ანგარიშით გამოვიდა, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ნ. გეგია.

სარაიონო ყრილობამ მოისმინა აგრეთვე მოხსენებები საკოლმეურნეო მშენებლობის მდგომარეობის (ამხ. ალ. ზამთარაძე) და ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ. (ამხ. აკ. ზამთარაძე).

16 დეკემბერს მიმდინარეობდა კამათი სამივე მოხსენების გარშემო.

დასასრულ ყრილობამ აირჩია რაიაღმასკომის პლენუმი 63 კაცის შემადგენლობით და დელეგატები საქართველოს საბჭოთა მეშვიდე ყრილობაზე დასასწრებად.

სამტრედიის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ რაიაღმასკომის პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. ნ. გეგია.

### აჭარისტანში დამთავრდა საბჭოების რაიონული ყრილობები

ბათომი, 17 დეკემბერი. მთელს აჭარისტანში დამთავრდა საბჭოების რაიონული ყრილობები. საბჭოების რესპუბლიკური ყრილობა შესდგება 5 იანვარს.

გუშინ დაამთავრა მუშაობა ბათომის რაიონის საბჭოების ყრილობამ.

ბათომის რაიონი დიდი მიღწევებით შეხვდა საბჭოების ყრილობას: ვადამდე შესრულებულია რძის ჩაბარების წლიური გეგმა (102 პროც.), და სოიას დამზადების გეგმა (108 პროც.), განსაკუთრებით საგრძნობია რაიონის წარმატებანი ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში. გეგმით გათვალისწინებულ 15 ჰექტარის ნაცვლად, დათესილია 18 ჰექტარი ახალი პლანტაციები, კაპიტალურად შეკეთებულია 28 ჰექტარი, ნაცვლად 27 ჰექტარისა.

გადაჭარბებით შესრულდა საგზაო მშენებლობის გეგმა (107 პროც.), წინანდელი საგადარჩევო კამპანიის შემდგომ პერიოდში დიდი მუშაობა ჩატარდა სოფლების კულტურულ მშენებლობის და კეთილმოწყობის დარგში. სოფ. დოლოგანის მახლობლად მდინარე აჭარისწყალზე აშენებულია დაკიდებული ხიდი 99 მეტრის სიგრძით. სოფ. თხილნარში სასოფლო - საბჭოსა და საექიმო პუნქტისათვის აშენებულია ახალი სახლები.

რაიონში აგებულია ახალი შენობები და გაიხსნა 11 სკოლა. მთელი რაიონი ტელეფონიზირებულია.

სოფ. მახინჯაურში გაიხსნა საჩვენებელი კლუბი. წინათ არსებულ 5 სამკითხველოს ნაცვლად, არსებობს 15 სამკითხველო. მშენებლობა და სასკოლო ქსელის გაფართოვება ისეთი სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა, რომ ახლა რაიონში არ მოიპოვება არც ერთი სოფელი, რომელსაც არ ჰქონდეს სკოლა.

სოფ. გონიოში გაიხსნა ქართიზის სკოლა, რაც პირველია აჭარისტანში. თვით საზღვარზე სოფ. სარფში დაიწყო 25 საწოლიანი საავადმყოფოს მშენებლობა, შენდება აგრეთვე 4 ახალი სკოლა და დაკიდებული ხიდი.

ყრილობა ჩატარდა ჩამორჩენილი მთლიანი სოფლების კულტურულ სასოფლო ცენტრებად გადაქცევისათვის, კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცებისათვის საბრძოლველად ძალების მობილიზაციის ნიშნით.

—:—

რაიაღმასკომის პლენუმი არჩეულია 35 დეპუტატის შემადგენლობით, მათ შორის—9 ქალია.

რაიაღმასკომის პირველმა პლენუმმა აირჩია პრეზიდიუმი 9 წევრის და ორი კანდიდატის შემადგენლობით.

რაიაღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ჰუსეინ სურმანიძე

### თელავის რაიონის საბჭოების ყრილობაზე

თელავი, 17 დეკემბერი. დამთავრდა თელავის რაიონის საბჭოების მესამე ყრილობა.

ყრილობამ მოისმინა რაიაღმასკომის საანგარიშო მოხსენება და რაიმიწგანის მოხსენება მეცხოველეობის აღორძინების და განვითარების მდგომარეობის მორიგი ამოცანების შესახებ. რაიაღმასკომის საანგარიშო მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდა 40 დელეგატი. კამათში გამოსულები ჩერდებოდნენ ცალკეულ ჩამორჩენილ უბნებზე, მოითხოვდნენ სკოლებისა და კულტურულ დაწესებულებათა ქსელის გაფართოვებას, ქალაქ თელავის და სასოფლო ცენტრების მშენებლობის და კეთილმოწყობის სამუშაოების ფართოდ გაშლას.

რაიმიწგანის გამგის ამხ. მაისურაძის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდა 20 დელეგატი. დელეგატებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს პირუტყვის ინვენტარიზაციას და მის მომზადებას აღწერისათვის.

რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმის შემადგენლობაში ყრილობამ აირჩია 54 ამხანაგი.

რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის პირველმა პლენუმმა რაიაღმასკომის პრეზიდიუმში აირჩია ამხ. გურგენიძე. ქარსანიძე, მაისურაძე, ნაცვლიშვილი, ორკოდაშვილი, ჯეჯელიძე, ჩიტალაძე, ამირიძე, ყუფარაშვილი, ბაბუევი. ანთელავა, ბიძინაშვილი, კვანიკაძე ტურუგაშვილი და ცუცქირიძე.

რაიაღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. გურგენიძე.

სრულიად საქართველოს საბჭოების მე-7 ყრილობაზე არჩეულია 15 დელეგატი.

## მისალმება ამხ. სტალინს

### საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტების გაერთიანებული პლენუმისა აქტივთან ერთად

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

პარტიის მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტების გაერთიანებული პლენუმი. მოსკოვის ბოლშევიკების აქტივთან ერთად მხურვალე სალამს გითვლით თქვენ. ჩვენს ძვირფას ბელადს, სოციალიზმის დიად გამარჯვებათა სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს!

მოსკოვის ბოლშევიკები, მუშები, კოლმეურნეები და მშრომელები. იხილავენ რა ც. კ-ის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, მხურვალედ იწონებენ მათ, როგორც ლენინური გზის სისწორის ბრწყინვალე დადასტურებას, — გზის, რომლითაც შენ, ამხანაგო სტალინ, რკინისებური შეუპოვრობით. თანამიმდევრობით და სიმტკიცით მიგვყავდა და მიგვყავს ჩვენი პარტია, ჩვენი ქვეყანა.

მოსკოვის ბოლშევიკები მტკიცედ აცხადებენ, რომ ისინი ღირსეულად შეასრულებენ ც. კ-ის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებას და შენს მითითებებს პურის ფართო ვაჭრობის. საქონელბრუნვის შემდგომი გაშლის, რაიონების განმტკიცების, ყოველგვარი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

ამის საწინდარია მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის დარაზმულობა და ჩვენი ქვეყნის მუშათა. კოლმეურნეთა და მშრომელთა უსაზღვრო ერთგულება ლენინური პარტიისადმი და შენდამი. ამხანაგო სტალინ.

ამის საწინდარია უდიდესი პოლიტიკური აქტივობა, რომლითაც მუშები და მშრომელები საბჭოების არჩევნებს ატარებენ. ერთსულოვნად ირჩევენ რა ჩვენი პარტიის მიერ წამოყენებულ კანდიდატებს და აღფრთოვანებით ირჩევენ შენ მოსკოვის საბჭოს პირველ დეპუტატად.

15 დღის წინათ, როცა კლასობრივი მტრის მიერ მოგზავნილი საზიზღარი მკვლელის ვერაგულმა ტყვიამ განგმირა პარტიის ერთ-ერთი საუკეთესო ხელმძღვანელი და შენი საუკეთესო თანამებრძოლი— სერგეი მირონის ძე კიროვი, მთელმა პარტიამ. მუშათა კლასმა და კოლმეურნე გლეხობამ განსაკუთრებული სიცხადით ერთხელ კიდევ გვიჩვენეს, თუ რა ღრმაა მთელი მშრომელი ხალხის სიყვარული და ერთგულება შენდამი—ჩვენი ბელადისა და მასწავლებლისადმი, გვიჩვენეს თავისი რკინისებური ნებისყოფა დაუზოგავად და ბოლომდე აღმოფხვრან განადგურებული მტრების ნაშთები.

ზინოვიევის ანტიპარტიული ჯგუფის კონტრ-რევოლუციურ ნარჩენთა გამცემლურ გასროლაზე მთელი პარტია, მთელი ჩვენი ქვეყანა ერთხმად უპასუხებს:

გაუმარჯოს იმას. ვინც უზრუნველყო ჩვენი პარტიის გამარჯვება, ბოლშევიკური რიგების ფოლადისებური ერთიანობა!

გაუმარჯოს ჩვენს ძვირფას დიდ სტალინს!

## შავი მეტალურგიის გამარჯვება

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს—ამხ. სტალინს.
საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს—ამხ. მოლოტოვს
მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარს—ამხ. ორჯონიკიძეს.

16 დეკემბერს შავი მეტალურგიის ქარხნებმა შეასრულეს პარტიის და მთავრობის დავალება 1934 წლისათვის ჩვენმა ქვეყანამ მიიღო 10 მილიონი ტონა თუჯი

წლის დამლევამდე გეგმის ზევით გამოდნობილი იქნება 400 ათასი ტონა თუჯი. ამგვარად თუჯის გამოდნობის ზრდა მარტო 1934 წლის განმავლობაში შეადგენს 3,4 მილიონ ტონას. ანუ 48 პროცენტს

ზრდის ასეთი პროცენტი არასდროს არ მოუცია არცერთ კაპიტალისტურ ქვეყანას.

კოქსზე მომუშავე ბრძმედთა მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი გაუმჯობესებულია: 1933 წელს იგი უდრიდა 1,64-ს, 1934 წლის პირველ კვარტალში—1,48. მეორე კვარტალში—1,27. მესამე კვარტალში —1,29, ოქტომბერ-ნოემბერში—1,24 კუბიურ მეტრ ერთი ტონა თუჯის გამოდნობაზე.

ეს გამარჯვება არის ჩვენი პარტიის გამარჯვება, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის [illegible].

ეს არის მეტალურგიაში ამხ. სტალინის ექვსი ისტორიული მითითების რეალიზაციის პირველი შედეგები, შედეგი ამხ. სერგო ორჯონიკიძის ყოველდღიური კონკრეტული ბოლშევიკური ხელმძღვანელობისა.

აძლევს რა პატაკს პარტიას და მთავრობას 1934 წლის წარმატებათა შესახებ, წლის წარმატებათა შესახებ მეტალურგიის. კოქსის, სამთამადნო და ცეცხლგამძლე მრეწველობის მუშაკთა არმიას ესმის. რომ თუჯის გამოდნობის საქმეში მიღწეული წარმატებანი არ გვაძლევენ იმის საფუძველს, რომ ცოტაოდნავ მაინც დავმშვიდდეთ. ჩვენ ვკისრულობთ განვაგრძოთ გაშლილი შეტევა 1935 წლის გეგმის შესრულებისა და ყველა საწარმოო რეზერვების მობილიზაციისათვის ამხ. სტალინის მიერ პარტიის მე-17 ყრილობაზე დასახული იმ ძირითადი ამოცანის გადასაჭრელად, რომელიც გულისხმობს ჩამორჩენის ლიკვიდაციას შავ მეტალურგიაში.

მეტალურგიის მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი გურევიჩი.

## საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების გაერთიანებული პლენუმი

მოსკოვი, 16 დეკემბერი. „პრავდა“ იუწყება, რომ 1934 წლის 15 დეკემბერს გაიხსნა საკ. კ.პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების გაერთიანებული პლენუმი

1934 წლის 15 დეკემბრის დილის სხდომაზე ამხ. ჩუდოვის შესავალი სიტყვის შემდეგ პლენუმმა განიხილა დღის წესრიგის ორი პირველი საკითხი.

პლენუმმა საკ. კ.პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების პირველ მდივნად ერთხმად აირჩია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ა. ჟდანოვი საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციით.

ამხ. უგაროვის ინფორმაციის მოსმენის შემდეგ პლენუმმა მიიღო განსაკუთრებული დადგენილება სერგეი მირონის-ძე კიროვის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

იმავე დღეს, საღამოს 6 საათზე, ურიცკის სასახლეში შესდგა საკ. კ.პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების გაერთიანებული პლენუმის სხდომა ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის აქტივთან ერთად, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. ჟდანოვის მოხსენება საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგებზე.

გაერთიანებულმა პლენუმმა პარტიული ორგანიზაციის აქტივთან ერთად ერთსულოვნად მოიწონა საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი და დაამტკიცა მათი განხორციელებისათვის საჭირო პრაქტიკულ ღონისძიებათა პროგრამა.

გაერთიანებულმა პლენუმმა პარტიული ორგანიზაციის აქტივთან ერთად მიიღო მისალმება ამხ. სტალინისადმი (ადს).

## ამხ. ჟდანოვის ბიოგრაფია

მოსკოვი. 14 დეკემბერი. ამხ. ანდრეი ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი დაიბადა 1896 წელს. პარტიული მუშაკი — პროფესიონალი რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობას ღებულობს 1912 წლიდან ეწეოდა მარქსიზმის პროპაგანდას ტვერში. პარტიაში შევიდა 1915 წელს ომის დროს და ბოლშევიკურ პროპაგანდას ეწეოდა ჯარში.

1917—1919 წლებში ამხ. ჟდანოვი არის სამაზრო კომიტეტის წევრი, პარტიის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი, შემდეგ თავმჯდომარე (ქ. შადრინსკში, ყოფილი ეკატერინბურგის გუბერნია) 1919—1922 წლებში იგი იმყოფება სამხედრო-პოლიტიკურ და პარტიულ-საბჭოთა სამუშაოზე ურალსა და ტვერში. 1922 წლიდან ტვერის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარე.

1924—34 წლებში — ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე გორკის მხარეში: ნიჟნინოვგოროდის საგუბერნიო კომიტეტის მდივანი გორკის სამხარეო კომიტეტის მდივანი.

პარტიის მე-14 ყრილობის შემდეგ — საკ კ.პ. (ბ) ც. კ-ის წევრობის კანდიდატი, პარტიის მე-16 ყრილობის შემდეგ — ცენტრალური კომიტეტის წევრი. პარტიის მე-17 ყრილობის შემდეგ—საკ კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ამხ. ჟდანოვი რამდენჯერმე იყო არჩეული სრულიად რუსეთის ცაკის და საბჭოთა კავშირის ცაკის წევრად (ადს).

## საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენი ქ. კიევში ტერორისტ-თეთრგვარდიელთა საქმეების გამო

ა.-წ. 13—15 დეკემბერს საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გასვლითმა სესიამ ამხ ვ. ვ. ულრიხის თავმჯდომარეობით, კოლეგიის წევრების ამხ. ნ. მ. რიჩკოვის და ა. დ. გორიაჩევის შემადგენლობით ქალაქ კიევში განიხილა საქმეები ა. ვ. კრუშელნიცკის, ი. ა. ბაჩინსკის, ი. ა. კრუშელნიცკის, ტ. ა. კრუშელნიცკის, რ. ფ. სკაზინსკის, მ. მ. ლებედინეცის, რ. ი. შევჩენკოს, ა. ი. კარაბუტის, პ. ი. სიდოროვის, ვ. ა. მისიკის, ვ. ი. ლევიცკის ა. ი: სკრიპა-კოზლოვსკაიას, გ. მ. კოსინკა-სტრელეცის, დ. ნ. ფალკოვსკის, მ. გ. ოკსმიტის, ა. გ. შჩერბინას, ი. პ. ტერეშჩენკოს, კ. ი. ბურევოის, ლ. ბ. კოვალიოვის, პ. ფ. გელმერ დიდუშოკის, ა. ფ. ბლიზკოს, ა. ი. ფინიცკის, ე. ვ დმიტრიევის. ა. ა. ბოგდანოვიჩის. პ. ი. ბუტუზოვის, ი. დ. ბუტუზოვის, ვ. ვ. პიატნიცას, ი. ნ. ვლაჩენკოს, გ. კ. სტუპინის დ. ი. პოლევოის, ი. ო. ხოპტიარის. პ. ნ. ბორეცკის, ლ. ი. ლუკიანოვის, გ. ნ. პროცენკოს, კ. ი. პივნენკოს. ს. ი. მატიაშის, ა. კ. ლიაშენკოს, რომლებსაც ბრალი ედებათ საბჭოთა ხელისუფლების მუშაკთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტების ორგანიზაციასა და მომზადებაში

სასამართლომ გამოარკვია, რომ ბრალდებულთა უმრავლესობა საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა პოლონეთიდან. ხოლო ნაწილი რუმინეთიდან და მათ დავალებული ჰქონდათ ტერორისტული აქტების მოხდენა უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

დაპატიმრების დროს ბრალდებულთა უმრავლესობას აღმოაჩნდა რევოლვერები და ხელის ყუმბარები.

იხელმძღვანელა რა საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის ა. წ. 1 დეკემბრის დადგენილებით და უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 54—8 და 54—11 მუხლებით, საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გასვლითმა სესიამ.

### მიუსაჯა

რომან თედორეს-ძე სკაზინსკის, ივანე ანტონის-ძე კრუშელნიცკის, ტარას ანტონის-ძე კრუშელნიცკის, მიხეილ მოსეს-ძე ლებედინეცს, რომან ილიას-ძე შევჩენკოს, ანატოლი იურის-ძე კარაბუტს, პეტრე იოსების-ძე სიდოროვს, გრიგოლ მიხეილის-ძე კოსინკა-სტრელეცს, დიმიტრი ნიკანორის-ძე ფალკოვსკის, მიხეილ გაბრიელის-ძე ოკსმიტს, ალექსანდრე გაბრიელის-ძე შჩერბინას, ივანე პეტრეს-ძე ტერეშჩენკოს, კონსტანტინე სტეფანეს-ძე ბურევოის, ალექსი თედორეს-ძე ბლიზკოს, ევგენი კუზმას-ძე დმიტრიევს, ადამ ადამის-ძე ბოგდანოვიჩს. პორფირი ივანეს-ძე ბუტუზოვს, ივანე მოსეს-ძე ბუტუზოვს, ვლადიმერ ვასილის-ძე პიატნიცას, იაკობ პავლეს-ძე ვლაჩენკოს, დმიტრი იოსების-ძე პოლევოის, ივანე ონუფრის-ძე ხოპტიარს პეტრე ნიკოლოზის-ძე ბორეცკის. ლეონიდე ივანეს-ძე ლუკიანოვს, კონსტანტინე ივანეს-ძე პივნენკოს. გაბრიელ ნიკიტას-ძე პროცენკოს, სერგეი იაკობის-ძე მატიაშს, ალექსანდრე კირილეს-ძე ლიაშენკოს.

### დახვრეტა

მთელი მათი ქონების კონფისკაციით.
განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ დაადგინა. ანტონ ვლადისლავის-ძე კრუშელნიცკის, იულიან ალექსანდრეს-ძე ბაჩინსკის, ვასილი ალექსანდრეს-ძე მისიკის, ვასილი ივანეს-ძე ლევიცკის, ანა ივანეს ასულ სკრიპა-კოზლოვსკაიას. ლეონიდ ბორისის-ძე კოვალიოვს, პეტრე თედორეს-ძე გელმერ დიდუშოკის, ალექსანდრე ი. ფინიცკის და გერბერტ კარლის-ძე სტუპინის საქმეები ახალი გარემოებათა აღმოჩენის გამო გადაცემული იქნას დამატებითი გამოკვლევა-ძიებისათვის (ადს).

საქართველოს

# სერგეი მირონის-ძე კიროვის ხსოვნის უკვდავყოფა

## საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების გაერთიანებული პლენუმის დადგენილება

16 დეკემბერი 1934 წელი

კლასობრივი მტრის ხელით საბრძოლო პოსტზე დაღუპულ სერგეი მირონის-ძე კიროვის — საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ლენინგრადის კომიტეტის მდივნის — სახით ლენინგრადის ბოლშევიკებმა, ჩვენი ქალაქის და ლენინგრადის ოლქის ყველა მშრომელმა მთელს პარტიასა და ჩვენს ქვეყანასთან ერთად განიცადეს უმძიმესი აუნაზღაურებელი დანაკლისი. ამხ. კიროვის სახელთან განუწყვეტლად დაკავშირებულია ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპი — ეტაპი თავგანწირული ბრძოლისა პარტიის ხაზისთვის და ლენინიზმისათვის, მემარჯვენე და „მემარცხენე" კაპიტულანტების წინააღმდეგ.

ამხ. კიროვის სახელთან განუწყვეტლად დაკავშირებულია გადამწყვეტი ეტაპი ჩვენი ბრძოლისა სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის. ამხ. კიროვის ხელმძღვანელობით ლენინგრადის ბოლშევიკებმა დარაზმეს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მილიონიანი მასები მთელი ფრონტით გაშლილი სოციალისტური შეტევის პროგრამის ძლევამოსილი განხორციელებისათვის. ლენინგრადის მუშებმა და მუშა-ქალებმა. რომლებსაც ამხ. კიროვი ხელმძღვანელობდა. ბრწყინვალე და დაუვიწყარი ფურცლები ჩასწერეს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის ისტორიაში. პროლეტარული რევოლუციის აკვანმა — ლენინის ქალაქმა—მარად დაუვიწყობელი სახელი მოიხვეჭა ყოველდღიურ დიად მუშაობაში სოციალისტურ მშენებლობაზე. ყოველივე ამით ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ, უწინარეს ყოვლისა. ამხ. კიროვს. მის ხელმძღვანელობას მთელი ჩვენი მუშაობისადმი.

ამხ. კიროვი შედის პროლეტარული რევოლუციის ისტორიაში როგორც ერთ-ერთი გამოჩენილი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი.

მუშებმა, კოლმეურნეებმა, სამეცნიერო მუშაკებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა, მწერლებმა, მხატვრებმა, მასწავლებლებმა და ექიმებმა თავიანთ კრებებზე წამოაყენეს მრავალრიცხოვანი წინადადებანი ამხ. კიროვის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების გაერთიანებულმა პლენუმმა, ამხ. კიროვის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით, დაადგინა:

1. ა) ნარვის რაიონს ეწოდოს კიროვის რაიონი, ქარხანა „კრასნი პუტილოვეც"— კიროვის ქარხანა.

ბ) „კრასნი ზორის" ქუჩას — კიროვის პროსპექტი.

გ) კრესტოვსკის, ელაგინის და კამენი კუნძულებს — კიროვის კუნძულები, ამასთან მოეწყოს მათზე მშრომელთა კულტურული დასვენების სანიმუშო ბაზა.

დ) დაჩქარდეს კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის მშენებლობა და დაერქვას მას ამხ. კიროვის სახელი.

ე) თანასწორობის ხიდს (ყოფ. ტროიცკის ხიდი) ეწოდოს კიროვის ხიდი.

ვ) ქალაქ ხიბინოგორსკის ეწოდოს ქალაქი კიროვსკი.

ზ) აგებულ იქნას 1935 წელს ლენინგრადში ამხ. კიროვის ძეგლი.

თ) გამოიცეს ამხ. კიროვის სიტყვები და წერილები, აგრეთვე წიგნი, მიძღვნილი ამხ. კიროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი.

2. პლენუმი ავალებს ლენინგრადის საბჭოს შეუდგეს მოსამზადებელ მუშაობას, რათა 1935 წელს აგებულ იქნას ამხ. კიროვის ძეგლი (ადგილის ამორჩევა, პროექტის დამუშავება და სხვ.).

პლენუმი მოუწოდებს ყველა მოქანდაკის და მხატვრებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამხ. კიროვის ძეგლის შექმნაში. (ადს).

# მოსკოვის საბჭოს, მოსკოვის საბჭოების საოლქო აღმასკომის და საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო და საქალაქო კ-ტების დადგენილება კიროვის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

გამოხატავენ რა მოსკოვის ქარხნების მუშათა და საზოგადოებრივ - პარტიულ ორგანიზაციათა სურვილს ტრაგიკულად დაღუპულ ამხ კიროვის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ, მოსკოვის საბჭო, მოსკოვის საბჭოების საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი. საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტები ადგენენ:

1. ეწოდოს ზამოსკვორეცკის რაიონს კიროვის რაიონი.
2. „დინამოს" ქარხანას მოსკოვში ეწოდოს კიროვის ქარხანა.
3. მიასნიცკის ქუჩას — დაერქვას კიროვის ქუჩა.
4. მეტროპოლიტენის სადგურს მიასნიცკიე ვოროტას ეწოდოს კიროვის სადგური (ადს).

# ტფილისის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელი აქტივის კრებაზე

## საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივნის ამხ. კუდრიავცევის გამოსვლა

17 დეკემბერს, საღამოს, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომების დარბაზში შესდგა ტფილისის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი აქტივის — პარტიის ტფილისის და რაიონული კომიტეტების მუშაკების, ტფილისის უდიდეს საწარმოთა პარტკომების მდივნების, რკინისგზის პოლიტგანყოფილებათა მუშაკების და პარტორგების თათბირი.

სხდომა გახსნა საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. არუთინოვმა, რომელიც შეჩერდა თათბირის ამოცანებზე.

ვრცელი შინაარსიანი მოხსენებით პარტიულ - მასობრივი მუშაობის და მარქსისტულ - ლენინური აღზრდის ამოცანების შესახებ გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. ხ. კუდრიავცევი, რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდენ

ამხ. კუდრიავცევის მოხსენების გარშემო გაიშალა მუშაობის გამოცდილების ფართო გაზიარება.

გამოვიდნენ ამხ. ბირიუკოვი (საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტი), ს. არუთინოვი (სტალინის რაიკომის მდივანი), ბარქაია („26" სახელობის რაიკომის მდივნის მოადგილე), შარია (საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტი), აივაზოვი („26" სახელობის ქარხნის პარტკომის მდივანი), ჩერნიკოვი (ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის პარტკომის მდივანი, შლეპოვა (საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის პარტკაბინეტი) და გრიცენკო (ლენინის რაიკომის ინსტრუქტორი).

თათბირმა აირჩია კომისია, რომელიც, თათბირზე გამოსვლების მიხედვით დაამუშავებს პრაქტიკულ წინადადებებს; ეს წინადადებები შემდეგ შეტანილი იქნება პარტიის ტფილისის კომიტეტის ბიუროში. (ადს).

# ყოველმხრივ მოვემზადოთ პურით გაშლილი ვაჭრობისათვის

## მოვიყვანოთ წესრიგში პურის სავაჭრო წერტები

(ქუთაისი, საკუთარი კორესპონდეტი,

საქ. კ.პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა ჯერ კიდევ 11 დეკემბერს მიღებულ დადგენილებაში აღნიშნა, რომ პურის სავაჭრო ორგანიზაციები ნელი ტემპებით აწარმოებენ მოსამზადებელ მუშაობას და პურის სავაჭრო წერტების მომზადების ვადად დანიშნა 15 დეკემბერი.

როგორც ჩატარებული შემოწმებით გამოირკვა, სახკვებვაჭრობა და მუშკოოპი არ აჩქარებენ მათთვის გადაცემული ფურნე-თონეების რემონტს და სავაჭრო დარაბების კეთილმოწყობას.

სახკვებვაჭრობის წერტის № 15, პურის კიოსკების № 11 და 3 რემონტი დღემდე არ არის დაწყებული. მუშკოოპს 15 დეკემბრისათვის არ ჰქონდა დაწყებული რემონტი წერეთლის ქუჩაზე მდებარე № 17,28,31 პურის სავაჭრო წერტებისა.

ფურნის გამგეები აცხადებენ, რომ მათ შეადგინეს ხარჯთაღრიცხვა და უახლოეს დღეებში დაიწყებენ რემონტს.. მაშინ როდესაც იგი 15 დეკემბრისათვის უნდა დაემთავრებიათ.

მაგრამ ეს არ ითქმის ქუთაისის რკ.-გზის მუშათა მომარაგების განყოფილებაზე („ორს")-ის და სარეწაო კოოპერაციაზე. მათ თავიდანვე ენერგიულად გაშალეს მუშაობა და საცხობებისა და სავაჭროების რემონტი 16 დეკემბრისათვის დაამთავრეს.

უნდა აღინიშნოს, რომ გარეუბნებში (დეპოს ქუჩა, ჯორჯაძის ქუჩა და სხვ.) პურის სავაჭრო წერტების გათვალისწინებული რაოდენობა საკმარისი არ არის.

— განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პურისმცხობლებისა და გამყიდველების კადრების შერჩევას. აქ ჩვენ მხედველობაში გვყავს პირველ რიგში საქპურტრესტის ქუთაისის განყოფილება, რომელსაც ნახევრადმექანიზებულ ფურნიში ჰყავს ისეთი მუშაკები რომლებიც ხელოვნურად აუარესებენ პურის ხარისხს. (მიქიაშვილი, კუპრაშვილი).

დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოთ თვითდინება და ამ საქმის შეუფასებლობა. 25 დეკემბრამდე პურის თავისუფალი ვაჭრობისათვის ყოველმხრივ მზად უნდა ვიყოთ.

ვ. ლალიაშვილი

მარცხნივ—ფურნე № 1-ის დამკვრელი ბრიგადირი არ. მელქოიანი, შუაში—პურის ქარხნის ლაბორანტი ქალი ქ. ვაჩნაძე ამოწმებს ფქვილის ხარისხს. მარჯვნივ—ფურნე № 1-ის უფროსი ხელოსანი ა. ტოტოიანი.

# ანაღდებენ ნოემბრის პლენუმის დადგენილებას

(ბათომი, სპეციალური კორესპონდენტისგან)

აჭარკოოპკავშირმა გამოქვეყნების დღეებშივე დაამუშავა საკ. კ.პ. (ბ) ცენ. კ-ის ნოემბრის პლენუმის დადგენილება პურის ფართო გაყიდვის შესახებ საბარათო სისტემის გაუქმების საფუძველზე.

აქ ნამდვილად გაშლილია მუშაობა იმისათვის, რომ აჭარის მშრომელთა გაზრდილი მოთხოვნილება პურზე დაკმაყოფილებულ იქნეს.

ბათომში სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით არსებობდა 18 სპეციალური ნორმირებული პურის სავაჭრო წერტი და 4 შერეული წერტი. ყველა ამ სავაჭროს გამტარუნარიანობა არ აღწევდა 12 ტონაზე მეტს.

ახლა აჭარისტანის საოლქო კომიტეტის დადგენილებით აჭარკოოპკავშირს დაევალა გაყიდოს მთელი საჭირო პურის ნახევარი. ეს იქნება 50 ტონა გამომცხვარ პურს, ე. ი. აჭარკოოპკავშირმა 1 იანვრიდან უნდა გაყიდოს ხუთჯერ იმაზე მეტი, ვიდრე ამჟამად ყიდის.

აჭარკოოპკავშირი 10 დეკემბრიდანვე შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას; ამჟამად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს პურის სავაჭრო წერტების გასაფართოებლად და კაპიტალური რემონტის ჩასატარებლად. სპეციალურად გამოყოფილი კომისიის დასკვნით, ასეთ რემონტს საჭიროებს 12 სავაჭრო წერტი, გეგმის თანახმად მათი რემონტი 23 დეკემბრისათვის უნდა დამთავრდეს. ხოლო პირველ იანვრისათვის 18-ვე მაღაზია მზად იქნება, რომ ყოველდღიურად 60 ტონა პური გაყიდოს.

25 დეკემბრისათვის უნდა დამთავრდეს აგრეთვე 6 თონის აშენება.

საბჭოთა კულტურული ვაჭრობის ნამდვილად გაშლისათვის აჭარკოოპკავშირმა სახელმწიფო ვაჭრობასთან ერთად 15 დეკემბრისათვის მოაწყო 15 დღიანი კურსები პურის გამყიდველების გადასამზადებლად. კურსებმა აჭარკოოპკავშირის ხაზით უნდა გამოუშვას 30 გამყიდველი.

ამასთანავე აჭარკოოპკავშირი სხვადასხვა რაიონში მოაწყობს პურის 13 ახალ წერტს. ეს წერტები გაიხსნება ქობულეთში, მახინჯაურში, ჩაქვში. ხულოში, ქედაში და სხვ.

აჭარკოოპკავშირის მუშაკებმა თავისი ოპერატიული მუშაობით და ამ საკითხისადმი მთელი ყურადღების გამახვილებით უნდა უზრუნველჰყონ პარტიის დავალების განაღდება — პირველ იანვრიდან სასურსათო ბარათების გაუქმება და პურის თავისუფალ ვაჭრობის გაშლა.

ა. ბიაშვილი.

# პურის საცხობების და სავაჭრო წერტების მომზადება სუსტად მიმდინარეობს

რკინისგზის ტფილისის კვანძის მუშათა მომარაგების სარაიონო განყოფილება მხოლოდ 12 დეკემბერს შეუდგა საკ. კ.პ. (ბ) ც.კ. ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას პურის გაშლილი ვაჭრობის შესახებ. მთელი კვირა მოანდომეს თათბირებსა და ძველი ფურნეების რემონტის და ახლების მშენებლობის გეგმის შედგენას.

ტფილისში უნდა გადაკეთდეს ცენტრალური პურის საცხობი, უნდა გადაკეთდეს აგრეთვე №-8 და 9 ფურნეები. უნდა შეკეთდეს პურის სავაჭრო 6 წერტი, აშენდეს 11 სტანდარტული ფიცრის ფარდული რკინისგზის საველე სადგურებზე პურის გასაყიდად, უნდა შეკეთდეს ძველი და აშენდეს ახალი თონეები.

გზათა სამმართველოს მატერიალურ დარგს ფურნეების და სავაჭრო წერტების რემონტისა და მშენებლობისათვის უნდა გაეღო საშენი ხე-ტყის მასალა, 15 დეკემბრისათვის ამ მასალებით დატვირთული ვაგონი ისევ ზუგდიდში იდგა.

პურისცხობის და პურის მოვაჭრე ქსელს დიდი სამუშაო აქვს აგრეთვე, რკინისგზის მეორე განყოფილების სადგურებში, სადაც ჯერჯერობით მხოლოდ ხელშეკრულებები დადეს მშენებელ ორგანიზაციებთან.

პირველ იანვრამდე მხოლოდ რამდენიმე დღე დარჩა, მუშათა მომარაგების სარაიონო განყოფილებამ დაუყოვნებლივ უნდა გააძლიეროს მზადების ტემპები, სასწრაფოდ გადავიდეს პრაქტიკულ საქმიანობაზე და უახლოეს დღეებში შექმნას ყველა საჭირო პირობები ტფილისის კვანძსა და ხაზზე პურის გაშლილი ვაჭრობისათვის (ადს)

## სსრ-კავშირის სახკომსაბჭოში

# ცხენების სულადობის პასპორტიზაციის შესახებ

მოსკოვი, 16 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ გამოიტანა გადაწყვეტილება ცხენების სულადობის პასპორტიზაციის ჩატარების შესახებ.

ცხენების მთელი სულადობის პასპორტიზაციის ორგანიზაცია სახკომსაბჭომ დააკისრა საბჭოთა კავშირის მიწსახკომს. პასპორტების შევსების და გაცემის მთელი მუშაობა უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 1935 წლის პირველი მარტისა.

მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოები, სამხარეო და საოლქო აღმასრულებელი კომიტეტები და რაიაღმასკომები ვალდებული არიან ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ საბჭოთა კავშირის მიწსახკომს და მის ადგილობრივ ორგანოებს ამ მუშაობის ჩატარებაში.

პასპორტების გაცემა ადგილებზე დაკისრებული აქვს რაიონულ და საქალაქო სამიწათმოქმედო განყოფილებებს, რომლებიც სასოფლო საბჭოებთან და ქალაქებში აწყობენ პასპორტების გასაცემ პუნქტებს. იმ ქალაქებში, სადაც არ არსებობს საქალაქო - სამიწათმოქმედო განყოფილება, ეს მუშაობა ეკისრება საქალაქო საბჭოებს. შემდეგში პასპორტების გაცემა ახალი ნამატის კვიცებზე უნდა დაეკისროს სოფლად — სასოფლო საბჭოებს, ქალაქებში —საქალაქო სამიწათმოქმედო განყოფილებებს და საქალაქო საბჭოებს.

ყველა დაწესებულება, ორგანიზაციები (მათ შორის კოლმეურნეობებიც) და ცალკეული მოქალაქეები ვალდებული არიან გაატარონ რეგისტრაციაში სასოფლო ან საქალაქო საბჭოში მათ მიერ ცხენების გაყიდვა ან ყიდვა, მათი კუთვნილი ცხენების დახოცვა ან დაკვლა.

თვითეულ ცხენზე გაცემულ პასპორტში ცხენის პატრონს გადახდება გადასახდელი ერთ მანეთამდე, რომელიც გადადის ადგილობრივი სამიწათმოქმედო ორგანოების განკარგულებაში პასპორტიზაციის გატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად.

ცხენების სულადობის პასპორტიზაციის შესახებ გამოცემული დადგენილების დარღვევისათვის ცხენის პატრონები დაჯარიმებულ იქნებიან 100 მანეთამდე თვითეულ ცხენზე.

საბჭოთა კავშირის მიწსახკომს დაევალა გამოსცეს ინსტრუქცია ცხენების პასპორტიზაციის წესის შესახებ (ადს).

## საბჭოთა კონტროლის კომისიაში

# შრომის ხელფასის თვითნებურად გადიდება

მოსკოვი, 16 ოქტომბერი, მიუხედავად სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 30 ნოემბრის გარკვეული კატეგორიული დირექტივისა, რომლითაც აკრძალული იყო შრომის ხელფასის ყოველგვარი მომატება, მთელ რიგ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა მაინც თვითნებურად გაუდიდეს დეკემბერში ხელფასი თავის ცალკე მუშაკებს.

საბჭოთა კონტროლის კომისიის ბიურომ 14 და 15 დეკემბერს განიხილა შემოწმებით გამოაშკარავებული მასალები და მკაცრი სასჯელი დაადო დამნაშავეებს.

მოსკოვ-ბელორუსია - ბალტიის რკინისგზის სამმართველომ უკანონოდ გაუდიდა ხელფასი 7 მუშაკს 125-დან—150 მანეთამდე თვეში. ბრძანებები ამის შესახებ გაატარა ადმინისტრატიული განყოფილების უფროსმა ადამსონმა. მოსკოვ - ბელორუსია-ბალტიის რკინისგზის უფროსმა ამხ. რუსანოვმა, რომელმაც მთელს გზაზე ტელეგრაფით დაგზავნა განკარგულება არ გაადიდონ ხელფასი, ამავე დროს არ დააწესა კონტროლი და დაუშვა ხელფასის გადიდება თავის საკუთარ აპარატში. საბჭოთა ბიუროს გადაწყვეტილებით ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი ადამსონი მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულ იქნება სამართალში. გზის უფროსს ამხ. რუსანოვს მიეთითა მის მხრივ კონტროლის უქონლობაზე.

ქარხანა „ტრანსპორტის" დაპროექტების მოსკოვის კანტორის ადმინისტრატიული განყოფილების უფროსმა შაპირომ ჯამაგირები გაუდიდა თავისი აპარატის ოთხ მუშაკს. „მოსპროექტზავოდტრანსის" უფროსს მაქსიმოვს გამოეცხადა საყვედური, შაპირო მოიხსნა სამუშაოდან და აეკრძალა ხელმძღვანელი ადმინისტრატიულ თანამდებობის დაკავება ერთი წლის განმავლობაში.

ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საპროექტო ბიუროში დეკემბრის პირველ რიცხვებში გამოიცა ოთხი ბრძანება ცალკე მუშაკებისათვის შრომის ხელფასის გადიდების შესახებ. სახელმწიფო დისციპლინის დარღვევისათვის საპროექტო ბიუროს უფროსს ვასილევ-შმიდტს (საკ. კომპარტიის (ბ) წევრი 1910 წლიდან). გამოეცხადა სასტიკი საყვედური. მთავარ ინჟინერს მიულნერს, რომელმაც გასცა ეს უკანონო ბრძანებები, გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

შრომის ხელფასის უკანონოდ გადიდების ამავე გზას დაადგა რაიონული ელექტროსადგურების მომარაგების საკავშირო სახელმწიფო ტრესტის მმართველი ჟურავლევი, რომელმაც 9 დეკემბერს გასცა ბრძანება ერთერთ მუშაკისათვის შრომის ხელფასის გადიდების შესახებ. საბჭოთა კონტროლის კომისიამ ჟურავლევს გამოუცხადა სასტიკი საყვედური გაფრთხილებით.

რ.ს ფ.ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში 1-დან დაწყებული 8 დეკემბრამდე შრომის ხელფასი გაუდიდეს ცალკე მუშაკებს. ამისათვის კადრების სექტორის უფროსს პანინს გამოეცხადა სასტიკი საყვედური. სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს — კარპს მიეთითა ისეთი მდგომარეობის შეუწყნარებლობა, როცა მისი სამდივნოს მუშაკებს უკანონოდ გაუდიდეს შრომის ხელფასი.

ტრესტ „გოსჩულოკის" ნოგინის სახელობის ფაბრიკაში თანამშრომლებს ხელფასი გაუდიდეს წარმოების გამგის ილიჩევის განკარგულებით. ფაბრიკის ბუხჰალტერმა ეს მომატება გაატარა ისე, რომ არც დაეკითხა დირექტორს. ფაბრიკის დირექტორს პეტროვს და წარმოების გამგეს ილიჩევს გამოეცხადათ საყვედური. მთავარ ბუხჰალტერს კოროლევს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

შრომის ხელფასს ადიდებდენ არა მარტო მოსკოვის ცალკე დაწესებულებები და საწარმოები. ამ უკანონო გზას დაადგა აგრეთვე მურომსკის ორთქლმავალთსარემონტო ქარხანა აქ დეკემბერში ადგილი ჰქონდა მუშების და მოსამსახურეების დაბალი თანრიგიდან მაღალ თანრიგში გადაყვანის მასობრივ შემთხვევებს, ცალკე მუშაკებისათვის შრომის ხელფასის თვითნებურად გადიდებას. შრომის ხელფასის გადიდებას ატარებდენ სატენდერო საამქროს უფროსი ტერეხოვი, საამწყობო საამქროს უფროსი არტემიევი, ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი კონონოვი. მურომსკის ქარხნის პარტორგი მარტვენკო არა თუ არ აწარმოებდა ბრძოლას ცენტრალურ კომიტეტის და სახკომსაბჭოს ნოემბრის გადაწყვეტილების დარღვევასთან, არამედ, პირიქით, შეეცადა მოეტყუებია საბჭოთა კონტროლის კომისიის წარმომადგენელი.

ყველა ეს პირი მიცემულია პასუხისგებაში: კონონოვი მოიხსნა სამუშაოდან და ეკრძალა ხელმძღვანელი ადმინისტრატიული თანამდებობის დაკავება ერთი წლის განმავლობაში. სატენდერო და საამწყობო საამქროების უფროსებს ტერეხოვს და არტემიევს გამოეცხადათ საყვედური. ყაზანის რკინისგზის პოლიტგანყოფილების უფროსს —მირონოვს წინადადება მიეცა პარტიულ პასუხისმგებლობაში მისცეს ქარხნის პარტორგი — მარტვენკო.

საბჭოთა კონტროლის კომისიის ბიურომ, ცენტრალურ კომიტეტის და სახკომსაბჭოს დადგენილების მითითებებთან შეფარდებით, ყველა ბრძანება, რომლითაც ამათუ იმ ფორმით დიდდებოდა სამუშაო ხელფასი, გააუქმა, როგორც უკანონო ბრძანება. (ადს).

---

**გრ. მუშიშვილი**

# ანარქიზმი და სოციალ-ფაშიზმი ესპანეთში

ესპანეთში ისეთი სოციალ-პოლიტიკური ვითარება შეიქმნა ისტორიულად, რომ წვრილბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა მიმართულებამ გაიდგა ფესვები ესპანეთის პროლეტარიატის მნიშვნელოვან ნაწილში. ესაა **ანარქიზმი.** მისი გავლენის სფეროს მუშათა კლასში წარმოადგენს, ძირითადად, კატალონიის სამრეწველო რაიონი. აქ ანარქიზმი გვევლინება მუშათა კლასის გაბატონებულ იდეოლოგიად. მუშათა საგრძნობი ნაწილი უჭერს მხარს ანარქისტულ ხელმძღვანელობას. როგორც ვიცით, კატალონიაში თავმოყრილია მთელი ესპანეთის პროლეტარიატის მესამედი. მაშასადამე, ანარქიზმის გავლენა ესპანეთის მუშათა კლასზე საგრძნობია.

ანარქიზმი ესპანეთში გამოდის მყვირალა ულტრარევოლუციური ფრაზებით, ლოზუნგებით, მოწოდებებით. ანარქისტული რევოლუციონიზმი არ არის ისტორიულად პროგრესიული, აღმავალი მებრძოლი კლასის — პროლეტარიატის — რევოლუციონიზმი. პირიქით, საკუთარი კლასობრივი ინტერესები შემეცნებულ პროლეტარიატისათვის, როგორც „კლასისათვის თავისთვის", სრულებით უცხოა ანარქისტული რევოლუციურობა.

ანარქიზმის სოციალური ფესვები წარმოების კაპიტალისტური წესით და საყოველთაო კრიზისით განადგურებულ საქონლის წვრილმწარმოებელთა რიგებში უნდა ვეძიოთ. ლენინმა გენიოსურად ნათელყო, მეცნიერულად დაასაბუთა „მემარცხენეობის" ულტრარევოლუციური ფრაზეოლოგიის ბუნება. მისი შინაგანი ხასიათი. ობიექტურად გარკვეული კანონზომიერება თავის უკვდავ ნაწარმოებში: „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი კომუნიზმში". აქ ფიზიკური სიცხადით ნაჩვენებია ულტრარევოლუციური ტაქტიკა, „მემარცხენე" ტენდენციები მსხვილ კაპიტალისტურ მწარმოებლებთან ბრძოლაში დამარცხებულ წვრილი მწარმოებლის სტიქიურ - ანარქიული განწყობილებისა და მოქმედების გამოხატვაა.

საზოგადოების საშუალო ფენები. ქალაქისა და სოფლის საქონლის წვრილი მწარმოებელი იმყოფება მსხვილი კაპიტალისათა შორისძიებით. როდესაც ის მწარმოებელი „ტრაგიკულად იღუპება" კაპიტალისტურ კონკურენტულ ბრძოლაში. ის ვალატაკებული, საქონლის მეურნეობის სფეროდან განდევნილი ყოფილი წვრილი მწარმოებელი, იძულებულია მიაშუროს ფაბრიკა-ქარხანას, იარსებოს საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვით. მაგრამ წარმოებაში ის ძოდის ანარქიულ-ბუნტარული სულისკვეთებით: ის მზადაა ხელის ერთი დაკვრით მოსპოს და გაანადგუროს მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობა, ააფეთქოს მსხვილი კაპიტალის ბატონობა. ეს უსათუოდ „ულტრარევოლუციონერია". მისი ბუნებაა პარტიზანული გამოსვლები, ჯანყი, უმიზნო ნახტომები. მას არ შეუძლია აწარმოოს პოზიციური ბრძოლა, გამოიჩინოს პროლეტარული სიმტკიცე და გამბედაობა გაშლილ კლასობრივ ბრძოლებში. ამიტომ ის უმალვე ტყდება, სასოწარკვეთას ეცემა და ქუდმოგლეჯილი გამორბის, თავშეუკავებლად იხევს უკან, როგორც კი მსხვილი კაპიტალი, კონტრრევოლუციური ძალები გამანადგურებელ წინააღმდეგობის რკალს შექმნიან. ერთ შემთხვევაში — ულტრარევოლუციონიზმი, მეორე შემთხვევაში — სრული იდეურ-პოლიტიკური განიარაღება, გამარჯვებული რეაქციის წინაშე წაჩოქება, — აი, ასეთია წვრილბურჟუაზიული რევოლუციონიზმის შინაბუნება.

ამით ხასიათდება ანარქიზმი მთელ მსოფლიოში, კერძოდ — ესპანეთში.

ესპანური ანარქიზმის თეორიული არსენალი მეტად ღარიბია პრინციპებით. მთავარი და გადამწყვეტი თეორიულ - პრინციპული დებულება, რომელსაც ესპანეთის ანარქიზმი სახელმძღვანელო ლოზუნგად აყენებს, არის **უსახელმწიფო კომუნიზმის** („კომუნისმო ლიბერტარიო") დაუყოვნებლივ შემოღება. სახელმწიფო, ყოველგვარი მისი ფორმის მიუხედავად, უნდა აფეთქდეს. შემდეგ — მის ნანგრევებზე უსახელმწიფო კომუნიზმი უნდა დამყარდეს. მაშასადამე, უარყოფილი უნდა იქნას **პროლეტარული** სახელმწიფოც. არ არის საჭირო მუშათა კლასის ორგანიზაცია სახელმწიფოებრივ ძალაუფლებაში, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურა. ანარქიზმი გადაჭრით უარყოფს პროლეტარიატის დიქტატურას. ის „ებრძვის" ყოველგვარ დიქტატურას. ყოველგვარ სახელმწიფოს ყველა დროსა და ისტორიულ განვითარების ყოველგვარ საფეხურზე. თავისთავად ცხადია. საბჭოთა სისტემა. საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზაცია ანარქისტულ მსოფლმხედველობასთან აბსოლუტურად შეუთავსებელია. ამიტომ, საბჭოთა კავშირი, ჩვენში პროლეტარული დიქტატურის დაცვის, ჩვენთვის მხარის დაჭერის შესაძლებლობა ესპანეთის ანარქისტების შეგნებისა და ტაქტიკიდან სრულებით გამორიცხულია. ესპანეთის ანარქისტები საბჭოთა კავშირის მტრები არიან.

მეორე მხარე, რომელიც ბუნებრივად ახასიათებს ესპანეთის ანარქიზმს, ესაა რევოლუციურ - მასობრივი მოძრაობის, პროლეტარიატის ძალების აშკარა შეუფასებლობა, მეტი კიდევ — სრული უგულებელყოფა. ესპანეთის ანარქისტები მოწყვეტილი არიან მასებს თავიანთ მოქმედებაში. მასებისაგან მოწყვეტა, ამქრული კარჩაკეტილობა, ესპანეთის, საერთოდ — მთელი ქვეყნის ანარქიზმის ნიშანდობლივი თვისებაა. რატომ, რისთვის, რა არის ამის მიზეზი? სრულებით მარტივი, უბრალო გარემოება: ანარქიზმი უარყოფს ორგანიზებულად მოწყობილ რევოლუციას, უარყოფს ამ რევოლუციაში მუშათა კლასის შემოქმედებითი როლს, მას ჰგონია, შეიძლება რევოლუცია გაკეთდეს **ხელოვნურად,** ერთი მუჭა რევოლუციონერთა მოულოდნელი ჯანყით. ესპანეთის ანარქისტების საბრძოლო ლოზუნგია სწორეთ **„რევოლუციის ხელოვნურად გაკეთება",** რევოლუციის მოხდენა მასების მონაწილეობის გარეშე.

ასეთია, მოკლედ, ესპანური ანარქიზმის თეორია. გავეცნოთ მის პრაქტიკას.

კატალონია საფეიქრო წარმოების რაიონია. სწორედ აქ არის გაბატონებული ანარქისტული „ორგანიზაციები". ასტურიის რაიონში, სადაც მოქცეულია მძიმე ინდუსტრიალური წარმოება, კონცენტრირებულია პროლეტარიატის მოწინავე ნაწილი. სამთომადნო და მეტალურგიის მუშები. აქ ანარქიზმს არ აქვს გასავალი. მაგრამ მსუბუქი მრეწველობის რაიონში ანარქიზმი პოულობს გამოძახილს, მას მხარს უჭერს მუშათა კლასის დიდი ნაწილი. აი, სწორედ კატალონიის მრავალ ქალაქში სცადეს ესპანეთის ანარქისტებმა თავიანთი თეორიის განხორციელება. ანარქისტებმა მოაწყვეს ცნობილი ჯანყი 1933 წ. 8—9 იანვარს. ხელში ჩაიგდეს ბარსელონა, განდევნეს ქალაქის ხელისუფლება და გამოაცხადეს უსახელმწიფო კომუნიზმი, მათი საიცნებო „კომუნისმო ლიბერტარიო". მაგრამ ეს კომუნიზმი ხომ უსახელმწიფოა, ხოლო ხელისუფლება შეუძლებელია სახელმწიფოებრივ ფორმის გარეშე. ანარქისტებმა განდევნეს **ძველი** ხელისუფლება, მაგრამ ვერ შექმნეს **ახალი.** ცხადია, ახალი ხელისუფლება უნდა ყოფილიყო **პროლეტარიატის დიქტატურა.** ანარქისტებმა პრაქტიკაშიაც უარყვეს ეს დიქტატურა. შედეგიც მოსალოდნელია: ბარსელონამ ვერ შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, სულ რამდენიმე დღეში მოხდა ძველი ხელისუფლების აღდგენა, კაპიტალისტებმა მშვიდობიანად დაიბრუნეს ფაბრიკები, რომლებიც აღმოჩნდა სავსებით ხელუხლებელი და ზუსტად დაცული. ბარსელონას ცნობილი ფაბრიკანტი **შმიდტი** იმდენად გაკვირვებული, გაოცებული დარჩა ანარქისტების, ამ „ულტრარევოლუციონერების" ულტრაჰუმანიური საქციელით, რომ მან თავი ვერ შეიკავა და ოფიციალურად პრესაში „ღრმესი მადლობა" უძღვნა ბარსელონის ანარქისტულ ხელმძღვანელობას.

როგორი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ ამ ისტორიული ფაქტიდან? ეს დასკვნა გენიოსური აპერცეპციის საშუალებით გააკეთა ჯერ კიდევ **ფრ. ენგელსმა,** რომელიც ესპანეთის 1873 წ. რევოლუციის საკითხთან დაკავშირებით წერდა ბაკუნისტების (ანარქისტების) მოღვაწეობაზე ესპანეთში: „ერთი სიტყვით, ბაკუნისტებმა ესპანეთში მოგვცეს შეუდარებელი მაგალითი იმისა, თუ როგორ არ უნდა კეთდებოდეს რევოლუცია". ენგელსის ეს გენიოსური დახასიათება, წინასწარმეტყველური სიტყვები წარმოადგენს ობიექტურ განაჩენს, რომელიც გამოიტანა ისტორიულმა განვითარებამ ესპანეთის ანარქიზმზე.

მეორე მხრივ **ფრ. ენგელსი** დამცინავ - განმანადგურებლად ახასიათებდა ყოველგვარი სახელმწიფოს უარყოფის ბაკუნისტურ თეორიებს. ანარქისტების პოლიტიკაა — შენიშნავს ენგელსი — „თავდასხმა არა იმ სახელმწიფოზე, რომელშიაც ცხოვრობ და რომელიც გტანჯავს, არამედ სახელმწიფოზე, როგორც ასეთზე. სახელმწიფოზე საზოგადოთ". რამდენად ცოცხალი, აქტუალური, **თანამედროვე** მდგომარეობის მეცნიერულად ამსახველია ენგელსის ეს დებულება: ის მთლიანად შეეხება ესპანეთის ანარქისტების მოქმედებას, მათ მსოფლმხედველობას, დღესაც, და უფრო მეტი სიძლიერითაც.

ანარქიზმს შეაქვს ესპანეთის პროლეტარიატის რიგებში დეზორგანიზაცია, დაბნეულობა, დაშლა, პესიმიზმი, მორალური განიარაღების ელემენტები. ანარქიზმის დაძლევის გარეშე შეუძლებელია ესპანეთის პროლეტარიატის გამარჯვება. ლეროუსის რეაქციური მთავრობის მკაცრმა გამოლაშქრებამ წელი მოწყვიტა ესპანეთის ანარქისტულ ბელადებს. უკანასკნელ ხანებში თანდათან აშკარავდება ანარქიზმის ანარქოფაშიზმში გადაზრდის ტენდენციები.

ესპანეთის რევოლუციაში არა ნაკლებ დეზორგანიზატორულ როლს თამაშობს ესპანეთის სოციალ-ფაშიზმიც, ე. წ. სოციალისტური პარტია. ის არსებითად არ განირჩევა მე-2 ინტერნაციონალის სხვა პარტიებიდან. აპრილის რევოლუცია ესპანეთის სოციალ-ფაშიზმმა შეაფასა როგორც „ყველა კლასის მშრომელთა" განთავისუფლების რევოლუცია. მან ეს რევოლუცია წარმოიდგინა ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ რევოლუციად. ესპანეთის სოციალისტურმა პარტიამ მხარი დაუჭირა ბურჟუაზიულ-ფეოდალური ბლოკის მთავრობას და 1932 წლის ზაფხულამდე მონაწილეობდა ამ მთავრობაში. შემდეგ კი ის გაძევებულ იქნა მთავრობის შემადგენლობიდან. მაგრამ გააკეთა თავისი საქმე, მას შეუძლია წავიდეს—განაცხადა ესპანეთის ბურჟუაზიამ, როგორც კი დაინახა, რომ ესპანეთის სოციალისტური პარტიის ბელადების ლაქიურ-გამცემლური როლი უკვე შესრულდა.

ამჟამად ესპანეთის სოციალ-ფაშისტური პარტია „ოპოზიციურ" პარტიას წარმოადგენს. ოპოზიციურ მდგომარეობაში ჩავარდნამ ერთგვარად გამოაფხიზლა ამ პარტიის ბელადები. **ლარგო კაბალიერო,** ესპანეთის სოციალისტური პარტიის ბელადი, უკვე თანახმაა (!) აღიაროს პროლეტარიატის დიქტატურა. ცხადია, ეს ეწინააღმდეგება მე-2 ინტერნაციონალის პლატფორმას, მის თეორიულ საფუძვლებს. მაგრამ სხვა გზა არ არსებობს ესპანეთის სოციალ-ფაშიზმისათვის: პროლეტარულ მასებში მწიფდება პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების აზრი, რომლის წინააღმდეგ გალაშქრება აუცილებლად გამოიწვევს ესპანეთის სოციალ-ფაშიზმის სამარცხვინო გაკოტრებას, მის გარიყვას პროლეტარული [illegible]. ამიტომ ლარგო კაბალიერო მიმართავს ჩვეულებრივ ხერხს. „იცნობს" პროლეტარიატის დიქტატურას. ეს— **სიტყვით.** **ხოლო საქმით** პროლეტარიატის დიქტატურა უარყოფილია ესპანეთის სოციალისტური პარტიის მიერ. მართალია, ამ პარტიის თეორეტიკოსები არაფერს ამბობენ გარკვევით პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფაზე, — ეს საზოგადოებრივი განვითარების მოცემულ საფეხურზე საჭირო არ არის. სამაგიეროდ ისინი გადაჭრით უარყოფენ საბჭოთა სისტემას, საბჭოთა ხელისუფლებას, მოკლეთ, უარყოფენ პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოებს — საბჭოებს. პროლეტარიატის დიქტატურა საბჭოთა სახელმწიფოებრივ ფორმაში ხორციელდება. საბჭოთა სისტემის შინაარსია პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა. ვინც ღებულობს პროლეტარიატის დიქტატურას, მან უნდა მიიღოს საბჭოთა წყობილება, საბჭოთა სახელმწიფო: პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც პროლეტარიატის ორგანიზაცია სახელმწიფოებრივ ძალა-უფლებაში, მოითხოვს თავის ბუნებრივ ფორმას. ესაა სწორედ საბჭოთა სახელმწიფო. ვინც ამ უკანასკნელს უარყოფს, ის უარყოფს აგრეთვე პროლეტარიატის დიქტატურასაც. მესამე შესაძლებლობა გამორიცხულია.

მაშასადამე, ესპანეთის სოციალ-ფაშიზმი სიტყვიერად ღებულობს, ხოლო საქმით უარყოფს პროლეტარიატის დიქტატურის იდეას. ის გამოდის აგრეთვე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ორივე შემთხვევაში ესპანეთის სოციალისტური პარტია ღალატობს პროლეტარული ბრძოლის რევოლუციურ პრინციპებს, იცავს წარმოების კაპიტალისტური წესის ინტერესებს.

მაგრამ ერთ რამეში უნდა „მივუზღოთ" ესპანეთის სოციალისტურ პარტიას თავისი: ესაა მთლიანი ფრონტისადმი დამოკიდებულება. როგორც ცნობილია, ესპანეთის სოციალისტური პარტია მზადაა დაიცვას მთლიანი ფრონტი, მოახდინოს შეთანხმება ესპანეთის კომუნისტურ პარტიასთან პროლეტარული მთლიანი ფრონტის განმტკიცების საფუძველზე. უნდა ითქვას, ესპანეთის სოციალისტური პარტიის ეს ნაბიჯი მისასალმებელია განსაკუთრებით ახლა, ესპანეთის რევოლუციის თანამედროვე საფეხურზე.

მებრძოლი პროლეტარიატის ავანგარდს წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტური პარტია. ეს პრაქტიკულად დაამტკიცა მუშათა კლასის საერთაშორისო მოძრაობამ. კერძოთ — საბჭოთა კავშირის ისტორიულმა გამოცდილებამ. ესპანეთის პროლეტარიატის ავანგარდი —ესპანეთის კომუნისტური პარტია —ჯერ კიდევ არ არის ძლიერი იმდენად, რომ აიღოს ხელში ესპანეთის პროლეტარიატის ხელმძღვანელობა კლასობრივ ბრძოლებში. ამით აიხსნება ესპანეთის რევოლუციის განვითარების უარყოფითი მომენტი: რევოლუციური მოძრაობის არაორგანიზებულობა, სტიქიურობა, ცენტრალიზებული პროლეტარული ხელმძღვანელობის უქონლობა. ამჟამად ესპანეთის კომპარტიის რიგებში ირიცხება 25 ათასი წევრი დაახლოებით. რევოლუციის პირველ ხანებში, 1931 წ. ესპანეთის კომპარტიაში ათასი წევრიც არ ირიცხებოდა. როგორც ვხედავთ, რევოლუციის განვითარებიდან 3 წლის მანძილზე ესპანეთის კომპარტია გაიზარდა თვალსაჩინოდ, მისი გავლენა უკვე იგრძნობა 200 ათასს მუშასა და მოჯამაგირეზე. ეს მიღწევა მნიშვნელოვანია, მაგრამ ჯერ კიდევ სავსებით არა საკმარ.

რევოლუციის პერიოდში ესპანეთის კომპარტია გამოიჭედა კლასობრივ ბრძოლებში. ჯერ კიდევ 1931 წელს ის ხელმძღვანელობდა „სისხლიან კვირას" სევილში. დღეს ესპანეთის კომპარტიის გავლენა დიდია, ასტურიაში, ბისკაიაში, მადრიდში — ამ ნამდვილად პროლეტარულ ცენტრებში. ამით აიხსნება უდაო ფაქტი: ასტურიაში, მაგალითად, პროლეტარული ბრძოლა ატარებს უფრო ორგანიზებულ, პოზიციურ, სერიოზულ ხასიათს ოვიედოს პროლეტარების გმირული ბრძოლა კომპარტიის უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა. კატალონიაში— ანარქისტების გავლენის ამ სფეროში — მუშათა კლასის ბრძოლა დეზორგანიზებულ ფორმებში წარმოებს, ანარქიულ აფეთქების ფორმებს ღებულობს. ანარქიზმის თხუნელა იდეურად აკეთებს აქ თავის დამღუპველ საქმეს!

ესპანეთის კომუნისტური პარტია მტკიცედ ატარებს კომუნისტური ინტერნაციონალის ხაზს ესპანეთის რევოლუციაში. მან წამოაყენა ლოზუნგი: „ძალა-უფლება საბჭოებს", „მუშა-გლეხური მთავრობის შექმნა", პროლეტარული ბრძოლა ხელისუფლებისათვის. ესპანეთის კომუნისტური პარტია იბრძვის მუშათა კლასის უმრავლესობის მომხრობისათვის, ის ანვითარებს მთლიანი ფრონტის ტაქტიკას, ამაგრებს მუშათა კლასის ორგანიზებულად გამოსვლას არსებული წყობილების წინააღმდეგ.

◆

# კასპის მტს-ის დირექცია ცუდად ხელმძღვანელობს ტრაქტორების რემონტს

(ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

შესაკეთებელია 25 ტრაქტორი; აქედან კაპიტალური რემონტი სჭირდება 2 ტრაქტორს, საშუალო რემონტი—12-სა და მიმდინარე—11-ს.

კასპის მტს-ის საერთო გეგმა თვეების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ნოემბერში უნდა შეკეთდეს 2 ტრაქტორი, დეკემბერში—8, იანვარში—8 და თებერვალში 5 ტრაქტორი, (კაპიტალურ რემონტისათვის 2 ტრაქტორი ტფილისის სარემონტო სახელოსნოს გადაეგზავნება).

ასეთ მშრალ ციფრებს ამოიკითხავთ მტს-ის დირექტორის ამხ. ლ. ფსტიძის კაბინეტში, მაგიდაზე, მინის ქვეშ ამოდებულ პატარა ქაღალდზე.

— აქვს თუ არა სახელოსნოს სამუშაო გეგმა?

— არ აქვს

— ბრიგადებს?

— ...არც ბრიგადებს!

ასეთ პასუხს მიიღებთ კასპის მტს-ის დირექტორისაგან, რომელიც მხოლოდ მინის ქვეშ ამოკრული „გეგმით" კმაყოფილდება.

სახელოსნოს არ აქვს გეგმა, ბრიგადები „ალალბედზე" მუშაობენ. **რემონტის კამპანიის დაწყებიდან უკვე თვენახევარი გავიდა და სახელოსნოში ახლახან ჩამოაყალიბეს მუდმივი სარემონტო ბრიგადები.**

ასე ხდება, საერთოდ იქ, სადაც არ წარმოებს გეგმიური მუშაობა, სადაც არ არსებობს მუშაობის სტიმული.

სარემონტო ბრიგადის ხელმძღვანელებმა ბრეგვაძემ და გოგიტაშვილმა დღემდე არ იციან, თუ რა პირობებში ამუშავებს მათ ადმინისტრაცია.

— არც გეგმა გვაქვს, არც პირობებს ვიცნობთ—აი სახელოსნოში მომუშავეთა სამართლიანი საყვედური, რომელსაც დირექცია ყურადღებას არ აქცევს.

სწორედ უგეგმო მუშაობის შედეგია ის, რომ კასპის მტს-ის სახელოსნო ჩამორჩა ტრაქტორების რემონტის მხრივ. ნოემბერში შესაკეთებელი ორი ტრაქტორი სახელოსნოდან დაგვიანებით გამოუშვეს; დეკემბრის პირველ ნახევარში 4 ტრაქტორი უნდა შეეკეთებიათ, ფაქტიურად **მათ ორი ტრაქტორის შეკეთებაც კი არ აქვთ დამთავრებული.**

სახელოსნოს არ მოეპოვება სამუშაო იარაღების საკმარი რაოდენობა. არც სათადარიგო ნაწილებით არიან უზრუნველყოფილი.

სახელოსნოდან სამასალო საწყობი ნახევარი კილომეტრითაა დაშორებული. საწყობის გამგე ნედაშკინი სოფ. მეტეხის რკ. გზ. სადგურთან ცხოვრობს. ხშირად მატარებლებს აგვიანდება, გამგეც იგვიანებს, საწყობი დაკეტილია—ამით კი სახელოსნოს მუშაობა დიდად ბრკოლდება.

სახელოსნოში ბრიგადებსა და ცალკე მუშებს შორის სოცშეჯიბრების გაშლაზე ლაპარაკიც ზედმეტია. როგორ შეიძლება სოცშეჯიბრებაზე ვილაპარაკოთ, როდესაც ბრიგადებს სამუშაო გეგმები არ აქვთ? მტს-ის მუშკომს **ბუთხუზის** ხაზით) სახელოსნოს მუშებს შორის პრაქტიკულად არავითარი კულტურული მუშაობა არ უწარმოებია. ამიტომაა, რომ სახელოსნოში დაბალია შრომის დისციპლინა, დაგვიანებისათვის. ან დღეების გაცდენისათვის არავის სჯიან. მაგ. მჭედელი **მიტრო მერაბიშვილი** ხშირად უმიზეზოდ აცდენს სამუშაო დღეებს, მაგრამ ამისთვის პასუხი არ მოუთხოვიათ. ერთი სიტყვით, პროფკავშირის სახე სრულიად არ ჩანს.

მუშების საყოფაცხოვრებო პირობებიც მოუგვარებელია. შეკეთებაზე მომუშავე ტრაქტორისტები **ხოკერაშვილი, შაქარაშვილი და კვესიაშვილი** რამოდენიმე დღეა კანტორის ოთახებში ათევენ ღამეს. ბინა არც სახელოსნოს გამგეს **უზნაძეს** გააჩნია. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს უარყოფით გავლენას ახდენს სახელოსნოს მუშაობაზე.

სახელოსნოსა და ბრიგადების უგეგმო მუშაობა, ტრაქტორების შეკეთების გაჭიანურება, მუშების ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები—ყველაფერი ეს მტს-ის დირექციის უუნარო ხელმძღვანელობის შედეგია; აქ დიდ უარყოფით როლს თამაშობს ის გარემოებაც, რომ პოლიტგანყოფილება, და პარტრაიკომი ტრაქტორების რემონტისადმი საკმაო მზრუნველობას არ იჩენენ.

მდგომარეობის ასე გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია. ტრაქტორების რემონტის დაჩქარებისათვის საჭიროა ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესება.

სახელოსნოს და თვითეულ ბრიგადას უნდა მიეცეს გარკვეული სამუშაო გეგმა, თვითმდინარეობას უნდა მოეღოს ბოლო. თვითეულმა მუშამ უნდა იცოდეს თავისი მოვალეობა, უნდა იცოდეს, თუ რას მიიღებს ამა თუ იმ სამუშაოში.

სახელოსნოს მუშებს უნდა შეუქმნათ სტიმული ნაყოფიერი მუშაობისათვის, ტრაქტორების დროზე და მაღალხარისხოვნად შეკეთებისათვის. გაუპიროვნება, რომელიც ამჟამად სუფევს შეკეთებაში, ძირიანად უნდა აღიკვეთოს. საჭიროა სახელოსნოს ორცვლიან მუშაობაზე გადასვლა.

კასპის მტს-ის დირექციამ და პოლიტგანყოფილებამ ყველა ზომა უნდა მიიღონ ტრაქტორების შეკეთებაში ჩამორჩენის დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად. თუ ისე გაგრძელდა მუშაობა, როგორც დღემდე, ტრაქტორების შეკეთების კამპანიას აშკარად ჩაშლა მოელის.

**ვ. მთვრალაშვილი.**

□ □ □

დნეპროპეტროვსკის პურის საცხობი ქარხანა, რომელშიაც პურის ცხობის ყველა პროცესი მექანიზებულია.

# ვინ არღვევს ფასების საბჭოთა პოლიტიკას

ფასების საბჭოთა პოლიტიკის განუხრელად გატარება და ზომა-წონის სისწორის დაცვა საბჭოთა კულტურული ვაჭრობის განმტკიცების ერთერთ ძირითად პირობას წარმოადგენს.

სამწუხაროდ ზოგიერთი ჩვენი სავაჭრო დაწესებულების მუშაკებს აქამდე ვერ შეუგნიათ ეს ჭეშმარიტება, განაგრძობენ ფასების დამახინჯებას და მომხმარებელთა მოტყუილებას წონაში.

ვაჭრობის ინსპექციის მასალები ნათლად გვიჩვენებენ, რომ ფასების პოლიტიკის დარღვევა ჩვენში იშვიათი მოვლენა არ არის. აი მაგალითები:

**სოფ. ალბულაღის** კოოპერატივი (თავმჯდომარე **ა. ხაჩატუროვი**) ლიტრ ნავთს 80 კაპიკის ნაცვლად მანეთად, ჰყიდის, ხოლო კილოგრამ მარილს 14 კაპიკის ნაცვლად 30 კაპეიკად. კოოპერატივმა ამ გზით 1-2 თვის განმავლობაში თავის მომხმარებლებს ზედმეტად გადაახდევინა 14,208 მანეთი.

**მანგლისის** კოოპერატივი (თავმჯდომარე **ლ. ბარსეღოვი**) ლიტრ ნავთს 90 კაპიკის ნაცვლად მანეთად—1-25 კაპ. ჰყიდის (როგორც მოესურვება), კილოგრამ კომერციულ შაქარს 15 მანეთის ნაცვლად 15 მან. 35 კაპეიკად, ჰყიდდა ზოგჯერ 16 მანეთადაც, ფხვნილ შაქარს 12 მანეთის ნაცვლად 13 მან. 50 კაპ. მარილს 14 კაპ. ნაცვლად—35-55 კაპეიკად და ა. შ.

1—1½ თვის განმავლობაში **მომხმარებელს** ზედმეტად გადაახდევინა 43,455 მანეთი.

მარტო ალბულასა, პრიუტსა, და მანგლისში ფასების დამახინჯების გამო თვენახევრის განმავლობაში მომხმარებელს ზედმეტად აქვს გადახდილი 66.253 მანეთი.

**სტალინისში** არსებობს ინვალიდთა კოოპერატივი (გამგეობის თავმჯდომარე **ალლაძე**, მაღაზიის გამგე **ჯავარაშვილი**), რომელიც აშკარა გადამყიდველობას ეწევა. კერძო პირების დახმარებით „ტორგსინიდან" საქონელი გამოაქვს და მაღალ ფასებში ჰყიდის. ამ მაღაზიაში სარეცხის საპონს 2 მანეთი და 50 კაპ. ნაცვლად ჰყიდიან 7 მან. 50 კაპ.



კალინინის ქუჩაზე შენდება „ფინ-დამკვრელის" სახლი 54 ბინით. მშენებლობა დამთავრდება იანვრის პირველ რიცხვებში.

□ □ □

მარტო საპონში მომხმარებელს ზედმეტად გამოართვეს 1.450 მანეთი.

სტალინისის სარეწაო კავშირის სავაჭრო (გამგე **გრიგორიანი**) კალოშებს 15 მანეთის ნაცვლად 17 მან. და 76 კაპ. ჰყიდის.

**სენაკის** ქალაქის კოოპერატივი (თავმჯდომარე **დ. ჭიჭინაძე**) სარეცხის საპონს 3 მანეთის ნაცვლად ჰყიდის 5 მანეთად, ნორმირებულ მაკარონსა და ვერმიშელს კილოგრამს 75 კაპეიკის ნაცვლად მანეთად ყიდის, ნორმირებულ მარგარინს 2 მან. 50 კაპ. ნაცვლად—2 მ. 80 კაპ.

ერთი თვის განმავლობაში კოოპერატივმა მომხმარებლებს ზედმეტად გადაახდევინა 658 მანეთი.

სენაკის ბავშთა კომისიის სავაჭროს ბუღალტერ **კაშლიავას** ამასწინათ გაფრთხილება მიეცა ფასების დამახინჯებისათვის. მიუხედავად ამისა იგი განაგრძობს ფასების დამახინჯებას. მისი განკარგულების თანახმად, მაღაზია სარეცხის საპონს 3 მანეთის ნაცვლად 7 მანეთად ჰყიდის ორიოდე კვირის განმავლობაში მომხმარებლებს ზედმეტად გადაახდევინა 945 მანეთი.

**ზუგდიდში** არსებობს რკინისგზის სამტრედიის კვანძის წითელი ჯვრის სავაჭრო წერტი, რომელსაც **ხელაია** განაგებს. ხელაია ამასწინათ დააჯარიმეს და სასტიკი საყვედური გამოუცხადეს ფასების საბჭოთა პოლიტიკის დამახინჯებისათვის.

როგორც ჩანს, ამ ზომას ხელაიაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია; იგი ისევ განაგრძობს მომხმარებლის მოტყუილებას. სარეცხის საპონში, მაგალითად, 3 მანეთის ნაცვლად 5 მან 60 კაპ., ახდევინებს კილოგრამ ბრინჯში 9 მანეთის ნაცვლად—11 მანეთს და ა. შ.

ზუგდიდში ბავშის მეგობართა საზოგადოების სავაჭრო წერტმა (გამგე **შ. სართანია**) მაკარონზე, საპონზე და ძაფზე ფასების გადიდების გზით ორიოდე კვირის განმავლობაში მომხმარებლებს ზედმეტად გადაახდევინა 1278 მანეთი.

გამომჟღავნებულია აგრეთვე მომხმარებელთა წონაში მოტყუების არა—ერთი შემთხვევა: **გორის** მურაბის ქარხნის დახურული ფარდულის გამყიდველი **ჩიტაძე** ატყუილებს მომხმარებლებს სისტემატიურად წონაში, ქარხნის მუშა **ლომიანიკოვს** ერთ კილოგრამ პავილონში 50 გრამი დააკლო.

გორის საკონსერვო ქარხნის პურის წერტის გამყიდველი **ქუმსიშვილი** თვითეულ აწონაზე მუშებს 15-150 გრამ პურს აკლებს.

გორის სარეწაო კავშირის საკონდიტეროს გამყიდველი **ხაჩიაკოვა** თვითეულ აწონაზე იპარავს 12 გრამ ნამცხვარს.

ალბულაღ - მანგლისის და ზოგიერთი სხვა რაიონის სავაჭროებში ხმარობენ ისეთ სასწორებსა და საწონებს, რომლებიც 1926, 1927 და 1928 წლის შემდეგ არ შემოწმებიათ.

ეს ფაქტები მოწმობს, რომ ზოგიერთი რაიონის პარტიული საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციები ჯერ კიდევ საჭირო ყურადღებას არ აქცევენ ფასების საბჭოთა პოლიტიკის გატარებას, ზომა-წონის სისწორის დაცვას და საერთო საბჭოთა კულტურული ვაჭრობის დანერგვას.

ამ გარემოებას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო. დაუნდობლად უნდა ვამხილოთ საბჭოთა ფასების დამახინჯებლები და ზომა-წონაში მომტყუებლები. უნდა გაჩაღდეს გადამწყვეტი ბრძოლა საბჭოთა კულტურული ვაჭრობის ნამდვილად დანერგვისათვის — ასეთია ამოცანა.

**ნ. ტ—ძე.**

□ □ □ □

# სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად

**საქართველოს სატრიკოტაჟო ფაბრიკამ** ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მუშაობა მე-17 პარტყრილობის მითითებათა საფუძველზე, რის გამოც სამრეწველო საფინანსო გეგმების შესრულებაში სამარცხვინო ჩამორჩენას ვამჩნევთ.

ფაბრიკამ ნახევარი წლის გეგმის მხოლოდ 77,2 პროცენტი შეასრულა (ნაცვლად 1.551,5 ათასი მან. პროდუქციისა გამოუშვა 1.197,3 ათასი მანეთის); მდგომარეობა ამ მხრივ არც მესამე კვარტალში გამოსწორებულა: ნაცვლად 905,6 ათასი მან. პროდუქციისა ფაბრიკამ გამოუშვა მხოლოდ 744,9 ათასი მანეთის (გეგმის 82,2 პროცენტი).

ფაბრიკამ მუშაობა ვერც მეოთხე კვარტალში გარდაქმნა, რის გამოც მუშაობა ისევ ძველი წესებით მიმდინარეობს, ისე რომ წელი მთავრდება და ფაბრიკას წლიური გეგმის მხოლოდ 73,1 პროცენტი აქვს შესრულებული; ამრიგად 11 თვის განმავლობაში სუსტი და მოუქნელი მუშაობის წყალობით 584,1 ათასი მანეთის ნაკლები პროდუქცია მოგვცა.

ფაბრიკის სამკუთხედი ასეთ სამარცხვინო ჩამორჩენილობას ნედლი მასალის უქონლობით ხსნის, და მართალაც სინამდვილეში ფაბრიკას ამ მხრივ ნაკლები ყურადღება ექცევა, რის გამოც ათ თვეში გეგმით გათვალისწინებული ნატურალური აბრეშუმის ძაფის მხოლოდ 70,6 პროცენტი მიიღო, მატყლის ნართის — 65,7 პროც. (ნაცვლად 5280 კილოგრამი ნართისა მიიღო 3470 კილოგრამი) და ბამბეულის ნართის—71,4 პროცენტი. ფაბრიკას გეგმით აბრეშუმის ძაფის და შალის ნართის მარაგი უნდა გააჩნდეს არა ნაკლები ათი დღისა, ხოლო ვისკოზი—25 დღის. სინამდვილეში ფაბრიკას გააჩნია მხოლოდ ერთი ან საუკეთესო შემთხვევაში ორი დღის მარაგი, რაც აუცილებლად გავლენას ახდენს სამრეწველო საფინანსო გეგმების შესრულებაზე.

მაგრამ გეგმის შესრულებაში მეორე მთავარი მიზეზი ის არის, რომ ფაბრიკაში ნაკლები ყურადღება ექცევა რეზერვების გამოყენების საქმეს. ასე, მაგალითად, „ტონკინის" სისტემის ორი დაზგა სამი წელია ფაბრიკაში უმოქმედოთ სდგას, იგი მოუვლელობით გაფუჭებულია და ზოგი ნაწილები უყურადღებობით სრულიად დაკარგული აქვს, ასეთივე მდგომარეობაშია ჩულქების 7საქსოვი მანქანა („მაზგეს" სისტემის), რომელიც 7 თვეზე მეტია უმოქმედოთ დგას; ნემსების უქონლობის გამო ათი დღეა გაჩერებულია ჩულქების საქსოვი 7 მანქანა „იდეალი"; ეს მაშინ, როდესაც სხვა ფაბრიკებს მანქანები აკლია.

ამ სრულიად უმოქმედო მანქანებს რომ თავი დავანებოთ და მომქმედ მანქანებზე ვილაპარაკოთ, დავინახავთ რომ მდგომარეობა არც აქ გვაქვს სასიამოვნო: მანქანები არ არის მთლიანად დატვირთული სხვადასხვა მიზეზების გამო; ასე, მაგ., ჩულქების საქსოვი 15 მანქანა „იდეალის" გაცდენა 9 თვეში 330 საათამდე აღწევს. თითქმის ასევე ცდება „ფანბორინის" სისტემის მანქანებიც.

ეხლა ვიკითხოთ როგორ მიმდინარეობს ფაბრიკაში მანქანების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება? აქ მანქანების შეკეთება განირჩევა სხვაგან არსებული წესებისაგან: დააყენებენ ერთ რომელიმე მანქანას და იქიდან მის ნაწილებს გადაიტანენ სხვა მანქანის შესაკეთებლად, რაც ყოვლად დაუშვებელ მოქმედებად უნდა ჩაითვალოს; მაგრამ სამწუხაროდ ამ საკითხს ფაბრიკის სამკუთხედი რატომღაც დღემდე ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

აქვე უნდა ითქვას რომ, სხვა „სიკეთეს" გარდა, მანქანების დასუფთავებასაც არ ექცევა სათანადო ყურადღება: მუშაობის დამთავრების შემდეგ მანქანები რჩება დაუხვეტავი და დაუსუფთავებელი, რის გამოც ის, ხშირად ფუჭდება და ბოლოს [illegible] გამოდის სრულიად ხმარებიდან. გარდა ამისა საამქროში ანტისანიტარული მდგომარეობაა, რაც საგრძნობ გავლენას ახდენს მუშების ჯანმრთელობაზე და თვით პროდუქციის ხარისხზედაც.

ფაბრიკის სამკუთხედის სუსტი და მოუქნელი ხელმძღვანელობის გამო დღემდე ფაბრიკის მუშა-ხელით მომარაგების საქმეც ვერ არის მოწესრიგებული, რის გამოც ფაბრიკა განიცდის მუშა-ხელის დიდ ნაკლულოვანებას. ათი თვის განმავლობაში ფაბრიკაში მიღებულია 238 მუშა, ხოლო წასულია 305: ეს იმიტომ, რომ ამ ფაბრიკის ხელმძღვანელობა ნაკლებად იწუხებს თავს მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის; მუშათა სასადილოში გამეფებულია ანტიჰიგიენური მდგომარეობა, სადილი ძალზე ცუდი ხარისხისაა, არ არის დაცული ის ნორმები პროდუქციის გაცემისა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და სხვა.

ფაბრიკამ დღემდე ვერც შრომის დისციპლინის თავის სიმაღლეზე აყვანა შესძლო: ხშირია შემთხვევა, როდესაც სამუშაოზე მუშები იგვიანებენ ან კიდევ სრულიად არ ცხადდებიან, რის გამოც ათ თვეში უმიზეზოდ გაცდენა-დაგვიანება 153 კაცდღემდე აღწევს. გაცდენას ვამჩნევთ არა მარტო უპარტიო მუშების მხრივ, არამედ ხშირად თვით პარტიისა და კომკავშირის წევრების მხრივაც, მაგრამ სამწუხაროდ პარტკომკავშირის და პროფორგანიზაციები თავს არ იწუხებენ, რათა ბოლო მოუღონ ასეთ სამარცხვინო მდგომარეობას.

**სატრიკოტაჟო ფაბრიკამ დაუყოვნებლივ უნდა დასახოს ის საჭირო ღონისძიება, რომლის საშუალებითაც ნამდვილად გარდაიქმნება მუშაობა; მან მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ყველა არსებული რეზერვები, რომელიც მას გააჩნია და მომავალში იბრძოლოს საწარმოო-საფინანსო გეგმების დროულად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.**

**ვალ. ხომერიკი.**

**დ. ჯანელიძე**

# ზურაბ ანტონოვი

(გარდაცვალებიდან 80 წლის შესრულების გამო)

ანტონოვი გორელი წვრილი ვაჭრის შვილი იყო. სამაზრო სასწავლებლის მესამე კლასიდან გამოყვანილი, ჯერ სამაზრო ამმართველის კანცელარიის უმცროსი მოხელე და ბოლოს საკუთარი ფირმა — „საწვრილმანო დუქანი ძმათა ანტონოვებისა".—აი ზურაბის ცხოვრების მთავარი ეპიზოდები თეატრალურ ასპარეზზე გამოსვლამდე. მალე გაკოტრებულმა დაბლიდარმა თეატრს მიაშურა, გიორგი ერისთავმა აქტიორად მიიღო, მაგრამ იგი არც სახასიათო და არც „საამიკო" როლების შემსრულებლად არ გამოდგა და სცენიდანაც დაითხოვეს.

ანტონოვმა გული არ გაიტეხა, კომედია დაწერა და გ. ერისთავს ჩააბარა. თეატრი რეპერტუარის მხრივ კრიზისს განიცდიდა. პიესა სიხარულით მიიღეს. სოვდაგრებით, წვრილი ვაჭრებით, ყარაჩოღელებით და ხელოსნებით ავსებულმა თეატრმა, ანტონოვის კომედიაში საკუთარი მისწრაფებანი ამოიკითხა, სცენიურ სარკეში საკუთარი ყოფაცხოვრება დაინახა, სცენიდან საკუთარი ხმაც გაიგონა, აუდიტორიამ იგრძნო, რომ სცენაზე მისი სისხლი და ხორცი, მისი კლასის ღვიძლი დრამატურგი შემოიჭრა და ამის შემდეგ ანტონოვს არ მოჰკლებია აუდიტორიის აღტაცება და სიყვარული.

ანტონოვი მეტად ხვავიანი მწერალი გამოდგა; რაღაც სამიოდე წლის განმავლობაში 15 პიესა დაწერა. წიგნის ბეჭდვის უძნელეს პირობებში, ეს გასაოცარი ენერგიის ავტორი, ახერხებდა თავისი პიესების ცალკე წიგნებად გამოცემას; ხშირად ექსპედიტორის მოვალეობასაც თვითონვე ასრულებდა, თავის წიგნებს თვითონვე ასაღებდა.

ანტონოვი სატირიკოსი იყო, ხან რბილად იღიმებოდა. ხან კი გამკილავ კილოზე მომართული მისი სიცილი დაუზოგავად იკბინებოდა. ანტონოვის კომედია არც ხასიათების კლასიკურ კომედიას ჩამოგავს და არც მდგომარეობათა დრამატურგიის კლასიკურ ნიმუშებთან აქვს ბევრი რამ საერთო. სწორად შენიშნა კოტე მარჯანიშვილმა, რომ მან ქართული კომედიის ფაბულის ანეკდოტიურობა გაამძაფრა; და მართლაც, ანტონოვის კომედიების ფაბულად თითქმის ყოველთვის ანეკდოტია აღებული („მზის დაბნელება", „ქმარი ხუთი ცოლის", „განა ბიძამ ცოლი შეირთო" და სხვ.)

ანტონოვის პიესების მხატვრული ღირსების ზრდას აფერხებდა აუდიტორიის დაბალი ინტელექტუალური დონე და ჩამორჩენილი ესთეტიკური გემოვნება. ანტონოვი, როგორც წვრილი ბურჟუა, ულმობლად ისრისებოდა სოციალურ ძალთა ჭიდილში; მას, ნიჭიერ შემოქმედს, თვითმპყრობელობის სულისშემხუთველ ტყვეობაში, არ გაეძლებოდა. მისთვის ცხოვრება ყოველდღიურ ლუკმა-პურისთვის ჭაპანწყვეტად იყო ქცეული და ამიტომაც მან, იმდროინდელ სოციალ-პოლიტიკური წესწყობილების წინააღმდეგ აღიმაღლა ხმა.

თითქმის ათი წლით ადრე, ვიდრე დ. ჭონქაძის „სურამის ციხე" დაიწერებოდა, ანტონოვმა დაწერა ტრაგედია „ქოროღლი", რომლის გმირი ალია ფირალად გავარდნილი „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს"; ამ პიესაში ავაზაკებად, ფაშები და ხანებია გამოყვანილი. ამ ტრაგედიით ავტორი იმდროინდელ სოციალ-პოლიტიკური სისტემას ესხმოდა თავს. ამას კიდეც მიუხვდნენ და გრაფი სოლოგუბი ავტორს ნამესტნიკთან ასმენდა.

არც ქართული თეატრის ხელმძღვანელობა იყო ანტონოვის კმაყოფილი. თავადაზნაურული ინტელიგენცია ვერ ურიგდებოდა, რომ ვიღაც დაბლიდარი ხალხის საყვარელ მწერლის სახელს იხვეჭდა.

ანტონოვიც გაბედულად იბრძოდა; მან თავადაზნაურულ ლიტერატორებზე დაწერა დრამატიული პამფლეტი „ტყვით მოგზაურობა ლიტერატორთა" ამ კომედიის მიხედვით ჩინ-ორდენიანი ლიტერატორები, ვითომდა ისტორიულ ძეგლითა შესასწავლად, სოფლიდან სოფლად დაეხეტებიან, ნამდვილად კი ლამაზ ქალებსა და დროს გატარებას დაეძებენ. მათი სოფლად ჩასვლა ისედაც გაძვალტყავებულ ყმა-გლეხების აწიოკებას იწვევს. ანტონოვის დრამატიულმა პამფლეტმა დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია.

თავადაზნაურთა დეპუტაცია: გ. ბაგრატიონ მუხრანსკის, გენერალი ბარტოლომეის, სტატსკი სოვეტნიკი პ. იოსელიანის და საგანგებო მინდობილობათა მოხელის გ. ერისთავის შემადგენლობით ნამესტნიკს ეახლნენ და შესჩივლეს: „ეს ვიღაც ანტონოვი არის, ჩვენზე კომედიებს სწერს, და თქვენ, ნაცვლად დასჯისა, საჩუქრებს აძლევთო". მდაბიოთა დრამატურგებმა თავის მხრივ მეფის ნაცვალს განუცხადეს: თეატრში გვავიწროებენ, კომედიებს გვართმევენ და ითვისებენ და ისე გვიმახინჯებენ, რომ ვეღარა ვცნობთო. თეატრში ორი გარკვეული მიმართულება იბრძოდა და ამ ბრძოლის პროცესში გ. ერისთავი იძულებული გახდა ცენზორობისთვისაც თავი გაენებებია და თეატრიდანაც წასულიყო.

მართალია, მეფისნაცვალმა დასის მოთხოვნა დააკმაყოფილა და თეატრის დირექტორად ზურაბ ანტონოვი დანიშნა, მაგრამ ცხადი იყო, რომ მდაბიოთა ხელში მოქცეულ თეატრს არ გაახარებდნენ. სულ მალე თეატრს ყოველწლიური დახმარება (5.000 მან.). შეუწყვიტეს. თავის შემოსავლის ანაბრად დატოვებული თეატრი მალე დაიშალა ანტონოვს არც ამის შემდეგ გაუტეხია გული; სიკვდილის დღემდე განაგრძობდა იგი პიესების წერას და მათ გამოცემას.

ანტონოვის გარდაცვლების შესახებ ორგვარი ვერსია არსებობს: გრ. ანტონოვისა და ივ. კერესელიძის მოწმობით დრამატურგი ცოფიან ძაღლს დაუკბენია და თავის სადგომში უპატრონობისა და მოუვლელობისაგან გარდაცვლილა 1854 წლის 9 თუ 13 დეკემბერს; ხოლო ალალო თუთაევის მოწმობით ანტონოვი მირონ ამიროვის ვალის გადაუხდელობისათვის დაუპატიმრებიათ და მწერლის მე-5 საპოლიციო უბნის საკანში დაულევია სული. დრამატურგის ბიბლიოთეკა მოვალეების მოთხოვნით. საჯარო ვაჭრობით გაიყიდა, ხოლო ხელნაწერები და დაუბეჭდავი პიესები კი პოლიციის არქივმა შთანთქა.

□ □ □ □



[illegible] შმიდტის ასფალტირებული და გამწვანებული ქუჩა.

□ □ □ □

**პატარა ფელეტონი**

# ყვავს არ ჰქონდა გუს გაჰქონდა!

*რადიო-ნაუენი იტყობინება, რომ ცხრა დეკემბერს გამართულ „საზამთრო დახმარებისთვის" ქუჩებში ყულაბებით ფულების შეკრებით კარგი თანხა დაგროვდა. ფულების ყულაბებით შეკრებაში მონაწილეობას ღებულობენ: პრუსიის პრემიერი გერინგი, პროპაგანდის მინისტრი ჰებელსი, რეიხსბანკის დირექტორი შახტი, ტენისის მოთამაშე ჩემპიონი ფონ-კრამი და ყოფილი კაიზერის შვილი პრინცი ავგუსტ-ვილჰელმი*

ფაშიზმის ერთ-ერთი ბელადი თითქოს სიცივისგან მობუზული იჯდა სავარძელში, თუმცა მის კაბინეტში საკმაოდ თბილოდა.

ამისი მიზეზი ის გარემოება იყო, რომ ფანჯრიდან ცხადათ მოსჩანდა ქუჩაში მიმავალი მართლა სიცივისგან და შიმშილისგან მობუზული არიელი ხალხი.

ამ დროს კაბინეტში შემოვიდნენ მისი პოლიტიკური მეგობრები სათათბიროდ.

ამ თათბირის საგანს შეადგენდა საკითხი, თუ როგორ შეენელებიათ ამ ზამთარში მილიონობით უმუშევარ არიელ ხალხს შორის შიმშილისა და სიცივის სიმკაცრე.

ამ საგნის შესახებ მრავალი აზრი გამოითქვა, მაგრამ ამ ბრწყინვალე აზრებს მუდამ თან მოსდევდნენ ხოლმე რაიმე დამჩრდილავი მხარეებიც და ამიტომ ისინი მიუღებელი იყვნენ.

ბოლოს, როდესაც გული იჯერეს თავიანთი წინადადებებით და სათქმელი ახალი აღარაფერი დარჩენოდათ, საიმპერიო ბანკის დირექტორმა შახტმა აიღო სიტყვა, რომელიც აქამდე მდუმარე აბოლებდა სიგარას.

ყველანი გაფაციცებით მიაჩერდნენ შახტს, თითქოს მისი პირიდან სიტყვების ნაკადს კი არა—ოქროს მადანს მოელოდნენ.

— ბატონებო!—დაიწყო შახტმა, — მე თქვენ გისმენდით მოთმენით, თუმცა ბევრმა თქვენგანმა ისეთი სიტყვები წარმოთქვა და წინადადებები შემოიტანა, რომელთა გამო არ შეიძლება არ აღელვებულიყო კაცი. მადლობა ღმერთს, რომ არც ერთი ამ წინადადებათაგანი მიღებული არ იქნა ჩვენი გონიერი ბელადის მიერ! ეხლა მეც მომეცით ნება გამოვთქვა ჩემი აზრი და შემოვიტანო ერთი წინადადება

შახტი გაჩუმდა და დინჯად გააბოლა სიგარა, თითქოს ამითი უნდოდა მსმენელთა მოთმინების ამოწურვა.

მას ყოველი მხრიდან მართლაც მოუთმენლად მიაყარეს

— ბრძანეთ, ბრძანეთ!

— შახტმა აუჩქარებლად განაგრძო:

— რა არის საჭირო იმისთვის, რომ შეენელდეს შიმშილისა და სიცივის სიმკაცრე?

— პური, ხორცი, სამოსელი, შეშა! — სხაპასხუპით მიაყარეს მას ყოველი მხრიდან.

— არა!—უპასუხა მათ შახტმა,—პირველად ყოვლისა ამისთვის საჭიროა ფული! კაცს თუ კი ფული გააჩნია, ის პურსაც იყიდის, ხორცსაც, სამოსელსაც და შეშასაც. თუ ეს ფული მას ცოტა ბლომათ მოეპოვება. მაშინ კიდევ უფრო კარგ რამეებსაც შეიძენს!

— ჩვენი უბედურებაც იმაშია, რომ საიმპერიო ბანკის დირექტორათ თქვენ გვყავხართ და ბლომად ფულისთვის კი ვერ მოგიყრიათ თავი ამ ბანკში!—საყვედურის კილოთი შეუტიეს იქით-აქედან შახტს.

— დიახ, მე თქვენზე კარგად ვიცი ჩვენი ბანკის სიცარიელე, მეც ის მინდა მოგახსენოთ ეხლა. თუ როგორ მოვაგროვოთ ფული, რომ ამ ზამთარში როგორმე იოლად გავიტანოთ თავი და გაზაფხულზე კი ღმერთი იქნება მოწყალე!

— კარგი, ნუ იტკეპნები ქაღალდის ფულის მბეჭდავ მანქანასავით. სთქვი, რა წინადადება გინდა შემოიტანო!—მკაცრად შეუტია ვიღაცამ.

ასეთმა მკვახედ შეტევამ შახტს წუთში აფიქრებინა — მოიხდინა თუ არა „მორიგი კრიზისი", მაგრამ გადაფიქრა ეს აზრი და განაგრძო":

— მოვაწყოთ „ნაციონალური სოლიდარობის დღე" ქუჩებში ყულაბებით ფულის შესაგროვებლად „საზამთრო დახმარების" მიზნით.

შახტის ეს წინადადება ყველას ძლიერ მოეწონა.

მხოლოდ ერთმა მონაწილეთაგან შეხედა ამ საგანს ეჭვის თვალით და დასვა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეაფასებენ ამას ბოლშევიკები.

— ბოლშევიკები თვით აწყობდნენ წარსულში ყულაბებით ქუჩებში ფულების შეკრებას წითელი ჯვრის და უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიის თანხების გასადიდებლად, — განუმარტა პროპაგანდის მინისტრმა ჰებელსმა.

— სწორედ ამიტომ არის, რომ მათი ჩერვონეცი დღითი-დღე მტკიცდება, მძიმე და მსუბუქი მრეწველობა გიგანტური ნაბიჯით მიდის წინ და ვითარდება,—დაუდასტურა შახტმა.

— იმიტომ არა ყავთ ბოლშევიკებს დღეს არცერთი უმუშევარი. არამედ მხოლოდ არამუშები თუ არიან დარჩენილი და ისინიც ყოფილი მაღალი წრეებიდან, —დაუმატა მესამემ.

— ალბად პურის საბარათო სისტემის გაუქმების საკვალებაც ამითი მიეცათ ბოლშევიკებს,—წარმოსთქვა მეოთხემ.

ასეთი განმარტებებით დაკმაყოფილებულებმა გადაწყვიტეს მოეწყოთ ცხრა დეკემბერს ქუჩებში ყულაბებით ფულების შეგროვება მათი უშუალო მონაწილეობით

არა ჩვეულებრივი დღე გათენდა არიელებისათვის ამა დეკემბრის თვის ცხრას! დიდი და პატარა. მაძღარი და მშიერი ქუჩა-ქუჩაში გამოეფინა იმის სანახავად, თუ როგორ მათხოვრებივით დადიოდნენ ფაშისტების ბელადები და აგროვებდნენ ყულაბებით თითბრის გროშებს. მხოლოდ მრავალრიცხოვანი ნამდვილი მათხოვრები არ იყვნენ მაინცდამაინც კმაყოფილი ამ მოვლენით.

მრავალმა გულუბრყვილო მშიერ-ტიტველებმა მოიყარეს თავი იმ იმედით, რომ მათი საცოდავი გამომეტყველების დანახვაზე იქვე მიიღებდნენ დახმარებას. მაგრამ იმედი გაუცრუვდათ!

ფულის დარიგება კი არა, ფაშისტური ბელადები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. თუ ვინ უფრო მეტს შეაგროვებდა და ამითი ისახელებდა თავს ამის გამო იმათ. ვისაც გამორჩენის იმედი ქონდათ, მოლოდინი გაუცრუვდათ. პირიქით, ზოგი მათგანი, რომლებმაც ვერ მოაგროვეს ბლომათ ფული, იძულებული იყვნენ თავიანთ საკუთარ ჯიბიდან დაემატებიათ თანხები, რათა პირშავად არ გამოსულიყვნენ ამ ნიადაგზე [illegible] ისეთი ოჯახური სცენა გაუმართეს ცოლებმა [illegible] ქმრებს. როგორიც კი შეუძლია ხელმომჭირნე არიელ დიასახლისს.

შეგროვილი თანხებიდან მხოლოდ თითო მარკა ხვდა ფაშისტური პარტიის წევრ უმუშევრებს" დანარჩენი უმუშევართა მილიონები დარჩნენ ისევე შიშველ-ტიტველნი და მშიერნი, როგორც იყვნენ ცხრა დეკემბრამდე.

**ს. თ—ია.**

**დემნა შენგელაია**

□ □ □ □

# ვაგონი № 675834

## ოცდაათიანი წლების ქრონიკა

**ნ**ატანების წყლიდან ამოხრჩობილი ნისლი მერიას მოსძალებოდა და სადგურის წინ გაზის უზარმაზარი ლამპა, კი არ ანათებდა, თეთრ ლაქასავით მოსჩანდა ღამის ბურუსში.

სადგური დროებით საქონლის ვაგონშია მოთავსებული და ზედ დიდის ამბით აწერია:

მერია

იქვე. ამ წარწერის გვერდით:

8 ЛОШАДЕЙ

36 ЧЕЛОВЕК

675834

ეს იმ დროების მოსაგონარია, როცა ბულვარებს შესასვლელებში ეწერა: Вход нижним чинам и собакам воспрещается.

მერე ეს „ნიჟნი ჩინები" დაეპატრონნენ ამ ბულვარებს ბოლშევიკური ტაჩანკებით, „ტეპლუშკა" № 675834 გაქანდა რუსეთის იმპერიის თვალშეუდგამ მინდორ-ველებში და ტყვიამფრქვევები ახმაურებდა სივრცეებს მესამასე ვერსზე. შ[illegible]ორში. ყაზანში, ცარიცინში, ვორონეჟში.

ახლა სამოქალაქო ომების ქარიშხალში გამოვლილი ტეპლუშკა № 675834 [illegible] რიგებიდან ბებერ ინვალიდივით დგას და ზედ აწერია:

მერია

მერია ახალი ცეილონია. მერიაში ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მშენებლობა გაშლილა.

საბილეთო სალარო. ტელეგრაფი. კანტორა აქ მოწყობილან და აპარატი ხავის სულის შემაწუხებლად, ხრატუნობს, იღრინება. ეს—გადალახული სივრცეები ეძახიან მერიას, მოუწოდებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და მერია შენდება, იბარება. იზრდება.

ვაგონ-სადგურში ისეთი სივიწროვეა, რომ, შეხვალ თუ არა, მაშინვე უნდა დაჯდე, არსად არ გაივლებ, ყველაფერი ზედახორად არის მიყრილი ერთადერთი თავისუფალი ადგილი ორ ციკლოპურ ტახტს შორის არის დატოვებული და ისიც თუნუქის მუცელგაბიზინებულ ღუმელს უჭირავს და ისე დიდგულად გუგუნებს დალოცვილი. ისე გავარვარებულა, რომ სუნთქვას ხუთავს და ყველას გარეთ გარეკვით გვემუქრება.

მე ტახტზე გაშხლართულ მეისრის ფერხთით ვზივარ, მეისრეს სძინავს და თავთით მოღუმულ ფარნის სინათლეზე, ფარანი მწვანეთ ანათებს სახეში და ჰოფმანის მოთხრობებიდან ამოღებულ ბუტაფორიულ მავნე სულსა ჰგავს.

ვაგონში ბნელა, სამოქალაქო ომის დროინდელი ქვარტლი და რუჯი მთლად აბნელებს ამ ღორღუნებიან სიღრმეს და იქ, ტელეგრაფის მაგიდაზე რომ „მოლნია" იბოლება. მითხარით, რას დააკლებს ამ ჩამოხვავებულ ბურსა და უკუნეთს?

ლამპასთან. სადგურის მოხუც უფროსს თავი ხელებზე ჩამოუდვია და ეყვინთება თვალმიზლეტილს, თავს უნიათოდ აკანტურებს.

ამ ბუნაგში რომ ვარ, ჩემ თვალს ახარებს ორი არსება: წინ ტახტზე ორი გუ[illegible] ცია ჩამომჯდარა და ეღურტულობენ შეუჩერებლად. ტიტინებენ რაღაც „სა[illegible]" სანტერესო ამბავს. ხან იცინიან ხან ილუშებიან, თვალებს ეშმაკურად აციმციმებენ.

გადავწყვიტე: როგორც არ უნდა გავარვარდეს ეს ღუმელი, რა გინდ არ უნდა შემომინთოს ცეცხლად და თაკარად, ფეხს მაინც არ მოვიცვლი აქედან. მე ისინი დღეს ვნახე [illegible]. ის, მარცხნივ რომ ზის, ფოლაქივით შავ თვალებს მუგუზლებივით აელვარებს, გულის ჩიხჩიხებს მაყრის და... კარგი ვაჟკაცობაა სატრფო, კაცმა რომ სთქვას... ასე ისე აქვს პუდრი შეფეთქილი, რომ მხოლოდ [illegible] ტონისტს ეპატიება, ტუჩებიც ასევე მიუტევებლად შეცხებული, კაბა — კრეპდეშინი და მკერდზე ლურჯი შევიოტის პალტო ძირს ჩამუშვენია და მხოლოდ თეძოებს უფარავს. მისი სახელი ათინა. ათინა სხივმოსხმულობას ნიშნავს და სხივი დგას ახლა ამ ტეპლუშკაში. ათინა აქაური ფოსტაში მსახურობს და ახლა ისიც მატარებელს უცდის, არა გასამგზავრებლად, — ფოსტის მისაღებად და სამაგიეროს ჩასაბარებლად.

მეორეც კაი ციცაა, კაცმა რომ სთქვას, და სხვა ციცებისაგან არაფრით არ განირჩევა. არც პუდრით, არც პომადით. ის ამხანაგზე სადაა, ეშხიანი და მიმზიდველი ამ სისადავით. სახელი მისი არ ვიცი, მაგრამ რატომღაც მგონია. რომ მას ქსენე უნდა ერქვას. ქსენე მასწავლებლად არის აქაურ სკოლაში და ახლა ამხანაგს გამოჰყოლია, რომ ღამეში მარტოს არ შეეშინდეს, თან, მატარებელი რომ შემოვა, რა უყოთ რომ ბურიანი ღამეა, —თვალს წყალს მაინც დაალევინებს!

მე ვზივარ ამ უცნაურ სადგურში და ვფიქრობ, რომ ჩვენი ცხოვრებაც ახლა ამ სადგურივით არის ბორბლებზე შემდგარი ეს 1930 წელიც ბორბალზე დგას და ქვეყანა განიცდის გეოლოგიურ ძვრებს. საზოგადოებრივი ფენები ნაოჭდებიან, სხლტებიან და ქვესკნელში ჩაძირული შრეები ამოდიან მაღლა და ცად იმართებიან. ყველაფერი დაძრულა ადგილიდან: ადათები, ჩვევები. შეხედულებანი, — ეს გოგონებიც, ჩემ წინ რომ სხედან და ტიტინებენ.

ყოფა დაიძრა, ცხოვრება დაიძრა, შეგნება დაიძრა. არაფერი სტაბილი არ არის, ყველაფერი იძვრება, ხვავდება და ახალი მკვიდრდება საუკუნეები წუთებში — გადაჰკიდიან ერთი მეორეს და ეს წუთები იტევენ რევოლუციებს, კბილთა ღრჭენას, დროშების ფრიალსა და გამარჯვების ყიჟინას. საუკუნეებში მიჰქრის ტეპლუშკა № 675834 და იქ, ჰიპერბორეებში ყაიმეთ სკვითების ყინულებიდან განთიადში ამოდის „ავრორა" და სხივების მაგიერ ზარბაზნის ლულები გაუშვერიათ იმპერატორთა სასახლეებისაკენ ჩვენც მივექანებით ბორბლებზე შემდგარნი ამ ლიანდაგზე, მიგვაქვს თან ამ ციცებივით ხალისიანი სიხარული, ჯავრი, ბრძოლა რომ განთიადი ყველას მშრომელისათვის და ყველგან გავათენოთ.

ეს გოგონებიც, სათამაშოებივით რომ სხედან ამ უზარმაზარ ტახტზე, ეს გუროლი ციცებიც ბორბლებზე არიან შემდგარი და ისინიც მიექანებიან, მაგრამ ახალგაზრდობა ხომ ცირკულარი არ არის რომ, როცა გინდა მაშინ შესცვალო?—მათ გართობაც უნდათ, სიყვარულიც და ახლა, ასე სულმოუთმელად რომ ტიტინებენ და თან თვალებს ეშმაკურად აციმციმებენ, ამ ახალგაზრდობის ბრალია.

უეცრად ქსენე სადგურის უფროსს მიუბრუნდა:

— ნეტავი სადაა ახლა იზდორაი? — და თან კუდიანმა დამწველი თვალებით ჩემსკენ ეშმაკურად გადმოიხედა.

ეს იზდორა თურმე ამ სადგურის უფროსის ახალი სიძე იყო. შარშან ის რკინისგზის მმართველობას მერიის სადგურზე პრაქტიკის მისაღებად გამოეგზავნა და მას სამსახურთან ერთად მეორე საქმეც შეუთავსებინა.

იზდორა ახალგაზრდა იყო, სადგურის უფროსსაც ახალგაზრდა ცოლი ჰყოლოდა ხუჭულიანი ენაც წყლიანი ონდა თურმე, [illegible], და ლამაზ სახესა და წყლიან ენას რა არ შეუძლია! ახალგაზრდებს გული ერთურთზე შეჰვარდნოდათ და „ეფსკვრათ გვირგვინი".

ახლა ამ ციცებს მათი ბედი ინტერესებდათ და რა იყო ამ კითხვაში გასაკვირველი?

სადგურ მერიის უფროსი თვლემისაგან ზანტად გამოერკვა და ზანტადვე უპასუხა რომ იზდორა ახლა სადგურ კოპიტნარში მსახურობს, მორიგე აგენტად და ცოლიც იქა ჰყავს.

ციცებმა სევდით ამოიოხრეს.

— ერთი იმისანა მადლიანი კაცი ნეტაი კიდო ჩამევიდოდეს ამ მერიაში! — ინატრა ათინამ და, მე რომ შემხედეს, ორივემ მხიარულად გადიკისკისეს.

მათ გათხოვება მოსწყურებოდათ, სიყვარული, ალერსი და საკუთარი ოჯახი. დახლოებით ისეთი ოჯახი, როგორიც საერთოდ ახალგაზრდა ქალებს აქვთ ხოლმე წარმოდგენილი: დიდი სიყვარულით და პატარა ოჯახი, სადაც არც სჭამენ, არც სვამენ, მხოლოდ სიყვარულითა და ალერსით სტკბებიან. ამ კოლოფივით პატარა ოჯახში, სადღაც კუნჭულში, დევს სულ პატარა, თხილის კაკლის ოდენა ბედნიერება და, თუ კოლოფს გაიქნევ, ეს ბედნიერება ხაჭუნობს გულის გამახარებლად. ეს ბედნიერება ახლა სადღაც შორს ხაჭუნობდა მათთვის!

ისინი, ალბად, ახლაც მერიაში სხედან. დღე მუშაობენ, საღამოთი ყველას სძინავს. ციცები მატარებელს ხვდებიან, ელიან მადლიან კაცს, და, რომ არ ჩადის, თვალებს ნაღვლით აყოლებენ სემაფორს გაცდენილ მატარებელს. მატარებელს ბუფერზე ახატია წითელი რგოლი და ეს რგოლი სალტესავით ეჭირება მათ გულს.

ახლა ამ სტრიქონებს, რომ ვწერ, ვეკითხები ჩემს თავს:

— ნეტავ თუ ჩავიდა ვინმე მადლიანი მერიაში?

ჩადით, ჩადით, მადლიანნო, მერიაში! ისინი შესანიშნავი გოგონები არიან, მოსიყვარულენი და, მართლა და მართლა, ჩვიდმეტი წლის გული ხუმრობა საქმე ხომ არ არის! გული, მარტო მუშაობა კი არ სწყურია, სიყვარულიც საქმეა, დიდი საქმე და ტრფობა ვის დაეძრახება?

მერია მერეს ეწოდება, ამ მერეს მერია ჰქვია და მერიის სადგური ახლა ახალ შენობაშია მოთავსებული და ნეტავ მაცოდინა რა არის ახლა ტეპლუშკაში მოთავსებული? მე რომ პოეტი ვიყო, ლექსს დავწერდი ამ ტეპლუშკაზე და დავარქმევდი:

ტეპლუშკა № 675834.



კინო-ფილმ „ჩაპაევის“ მხატვრული რეკლამა ტფილისში, ლენინის ქუჩაზე

□ □ □ □

# „ჩაპაევი“ ბათომში

უკვე მესამე დღეა ბათომში არაჩვეულებრივი წარმატებით ხდება „ჩაპაევის“ დემონსტრირება. ფილმმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ქალაქის მშრომელებზე და მთელს საზოგადოებრიობაზე.

— როცა ვუყურებდით სურათს „ჩაპაევს“, ჩვენ ცოცხლებივით აგვევლინებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლნი ოქტომბრის დიად წლებში. არც ერთი გალამაზებული კადრი, არც ერთი ზედმეტი ჟესტი არ არის ამ ფილმში „ჩაპაევი“ გულწრფელია თავიდან ბოლომდე და ამაშია მისი ძალა,—აცხადებენ ჩაპაევის დივიზიის ყოფილი მონაწილეები, რომელნიც ბათომში მუშაობენ.

— ჩვენზე სურათმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენს ფაბრიკაში არიან მუშები, რომელნიც არდაგანის ყაზარმებში ცხოვრობენ (ქალაქის შორეული განაპირა უბანი). როცა მათ გაიგეს, რომ ჩვენ მივდიოდით „ჩაპაევის“ სანახავად, ისინი, შორი მანძილის მიუხედავად, ჩვენთან წამოვიდნენ. ეს გასაგებია. „ჩაპაევს“ მინდა ვუყურო დაუსრულებლად, ხოლო როცა ხედავ ამ ამაღელვებელ კადრებს — თვითონ გსურს იყო ჩაპაეველი,—აცხადებენ ცეცხლსაცმლის ფაბრიკის დამკვრელი მუშები ამხ. მანუკიანი და ბალიკიანი.

საოლქო გაზეთებმა „ბატუმსკი რაბოჩი“ და „საბჭოთა აჭარისტანმა“ მთელი გვერდები უძღვნეს „ჩაპაევს“ (ადს).

# „ჩაპაევი“ წითელ არმიელთა ეკრანზე

დღეიდან წითელი არმიის ტფილისის სახლში იწყება მოსკოვიდან „ვოენკინოსაგან“ მიღებული ხმოვანი ფილმის „ჩაპაევის“ ახალი ეგზემპლარის დემონსტრირება ტფილისის გარნიზონის ნაწილებისათვის.

„ჩაპაევის“ დემონსტრაციისთვის წითელი არმიის სახლის კინოთეატრი მოწყობილია სპეციალური ხმოვანი აპარატურით. (ადს).

□ □ □

# წითელარმიელთა ა.-კ. შეჯიბრება

23 დეკემბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე, დაიწყება წითელარმიელთა ა.-კ. შეჯიბრება ტანვარჯიშობასა და ძალოსნობაში

შეჯიბრებაში კონკურს გარეშე მონაწილეობას მიიღებენ: მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისა და ქალაქების წითელი არმიის ნაკრები კოლექტივები, რაც ძალზე გაზრდის შეჯიბრების ინტერესს.

ა.-კ. მოვარჯიშეთა კოლექტივის შემადგენლობაში შედიან: ტანვარჯიშობის საკავშირო ფალავანი ამხ. გ. რცხილაძე, ტანვარჯიშობის ოსტატები; რომანიშვილი, ბაბილოძე, ჯორჯაძე და მთელი რიგი სხვა ოსტატები.

დიდ ინტერესს გამოიწვევს გათამაშება ძალოსნობაში პირველობის მოსაპოვებლად.

18 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში (რუსთაველის პრ. 21) შესდგება

**დისპუტი კინო-ფილმ „ჩაპაევზე“**

შესავალი სიტყვით გამოვა ამხ. გრ. მუშიშვილი.

შემდეგ გაიმართება კამათი.

დისპუტზე მოწვეული არიან მუშები, პარტიულ-საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლნი, ხელოვნების და ლიტერატურის მუშაკები.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტ. დირექცია.

# „კომუნისტის“ ესკადრილიის სახელობის

## საგიტაციო გადაფრენები

19 დეკემბრიდან საქართველოში იწყება „კომუნისტის“ ესკადრილიის სახელობის საგიტაციო გადაფრენები. რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს ორი თვითმფრინავი.

პირველი საგიტაციო თვითმფრინავი ტფილისიდან გაფრინდება 19 დეკემბერს დილით. ამ გაფრენის მარშრუტია—ტფილისი - გორი - სტალინისი - ზესტაფონი - ქუთაისი. მეორე დღეს გაფრენა გაგრძელდება შავიზღვის სანაპიროებისკენ სოხუმამდე. ამ თვითმფრინავის უკანასკნელი მარშრუტია — ქუთაისი-ჭიათურა - ჩხარი-ბენუქიძე-ონი. ყველა ამ პუნქტში თვითმფრინავიდან გადმოყრიან ფურცლებს და მოწოდებებს „კომუნისტის“ ესკადრილიის მშენებლობაში მონაწილეობის მიღების შესახებ.

მეორე საგიტაციო თვითმფრინავს დაკისრებული აქვს კახეთის რაიონების შემოფრენა მისი მარშრუტია — თელავი-წნორი-სიღნაღი -გურჯაანი და ყვარელი, ამ თვითმფრინავიდან ფურცლებს გადმოყრიან აგრეთვე ენისელში, წინანდალში, ველისციხეში, ახმეტაში და მთელ რიგ სხვა სოფლებში.

კახეთის რაიონებში საგიტაციო გადაფრენა დაიწყება 20 დეკემბრიდან.

* * *

# ზუგდიდელ მომღერალთა გუნდის

## იუბილე

ახლო ხანში შესრულდება 25 წელიწადი, რაც ზუგდიდში არსებობს სახ. მომღერალთა გუნდი ამხ. გ. ჭელიძის ხელმძღვანელობით. გუნდს დიდი დამსახურება მიუძღვის ხალხური სიმღერების შეგროვებისა და პოპულარიზაციის საქმეში. საქ. განათლების სახალხო კომისარიატმა დაადგინა 25 დეკემბერს ქალ. ზუგდიდში მოეწყოს გუნდისა და მისი ხელმძღვანელის იუბილეი.

იუბილეზე მიწვეული არიან — აჭარისტანის და აფხაზეთის, განსახკომების, სენაკის, ხობის, მახარაძის, ქუთაისის და ფოთის რაიონების განათლების განყოფილებათა წარმომადგენლები. პროფსაბჭოს წარმომადგენელი და სხვ.

განათლების სახ. კომისარიატმა, რომელიც იუბილეზე დასასწრებად გზავნის თავის წარმომადგენელს, დაადგინა აღძრას შუამდგომლობა გუნდის ხელმძღვანელის —ამხ. ჭელიძისათვის შრომის გმირის სახელის მინიჭების შესახებ, გარდა ამისა, მიღებულია დადგენილება, რომ ამხ. ჭელიძის სახ. სტიპენდია დაწესდეს ზუგდიდის მუსიკალური სასწავლებელში, ხოლო თვით იუბილარს ჯილდოდ მიეცეს 2.000 მანეთი.

იუბილეს მოწყობის ხარჯები განათლების სახ. კომისარიატმა იკისრა.

# საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირში

## მზადება საკავშირო ყრილობისათვის

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირი გაცხოველებით ემზადება საბჭოთა მხატვრების საკავშირო ყრილობისათვის.

დასახული პროგრამის მიხედვით ტარდება ხელოვნების საკითხებისადმი მიძღვნილ მოხსენებათა ციკლი. მოხსენებები ცხოველ ინტერესს იწვევს მხატვრებს შორის

18 დეკემბერს შესდგება ხელოვნებათმცოდნის ამხ სოკოლის მოხსენება თემაზე: „პერედვიჟნიკობის“ პრობლემა და პროფ. მ. თოიძის შემოქმედება“. დასახულია აგრეთვე პროფ. დ. კაკაბაძის მოხსენება ფერწერისა და გრაფიკის შესახებ, დოცენტის რ. თავაძის მოხსენება სკულპტურის შესახებ, საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის თავმჯდომარის ამხ ა. დუდუჩავას მოხსენება საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის უახლოესი ამოცანების შესახებ, ვ. კოტეტიშვილის მოხსენება და სხვ.

განზრახულია აგრეთვე დისკუსიის მოწყობა ცალკე მხატვრების: სახალხო მოქანდაკის ი. ნიკოლაძის, პროფ ლ. გუდიაშვილის, პროფ. დ. კაკაბაძის, მხატვრების, ელ. ახვლედიანის, თ. აბაკელიას, ი. შტეინბერგის, ს. ნადარეიშვილის და სხ. შემოქმედების შესახებ (ადს)

* * *

აჭარისტანის მიწსახკომის პირველი საბჭოთა მეურნეობის მანდარინების საუკეთესო დამხარისხებლები ტ. და ნ. ხალვაშები, მანდარინით სავსე კალათთან.

* * *

# თეატრი ველისციხეში

სოფ. ველისციხის (გურჯაანის რაიონი) თეატრთან მოეწყო მუდმივი დასი, უმთავრესად ადგილობრივი ძალებისაგან, მოწყობილია აგრეთვე მუდმივი ორკესტრი.

თეატრი მუშაობას შეუდგა 1 დეკემბრიდან. თეატრის რეპერტუარში შეტანილია: მთვარაძის „სურამის ციხე“, ლავრენევის „რღვევა“, ჰერცელ ბააზოვის, „მუნჯები ალაპარაკდენ“, ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“, ს. შანშიაშვილის „ანზორი“, დ. ჩიაჩელის. „ტყე“ და სხვ.

სეზონი გაიხსნება 15 იანვარს, შენობის კაპიტალური რემონტის დამთავრების შემდეგ, დ. ჩიაჩელის, პიესით „ტყე“.

„ცხენოსანი მწყემსი“ ჟილენსის ქანდაკება.

# წვიმა კი... ჩამოდის

გუშინ დამთავრდა ტფილისში ხე-ტყის დამზადებასა და დაცურებაზე მომუშავეთა პროფკავშირის მეორე პლენუმი, რომელზედაც განხილულ იქნა მრავალი საყურადღებო საკითხი. ერთი ასეთ საკითხთაგანი იყო კოლექტიურ ხელშეკრულებათა ურთიერთ ვალდებულებების შესრულება. ამ საკითხზე გაკეთებული მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ადგილებიდან გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ ურთიერთ ვალდებულებათა შესრულებაში უფრო ხშირად ადმინისტრატორები არიან ჩამორჩენილი.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ ადმინისტრატიული ხელმძღვანელობის წარმომადგენლები სიტყვა-სიტყვით მისდევენ საწარმოო - საფინანსო გეგმებში აღნიშნულ პუნქტებს და უმნიშვნელო თანხაც რომ იყოს საჭირო მუშების ყოფაცხოვრებითი პირობების გასაუმჯობესებლად — არ დახარჯავენ. თუ ეს საწარმოო გეგმაში არ არის გათვალისწინებული.

არის ხშირი შემთხვევა, რომ ტყეებში, მუშათა საერთო საცხოვრებელ ბარაკებში წვიმა ჩამოდის და საჭიროა სახურავის შეკეთება, რომ შესაძლებელი გახდეს იქ ცხოვრება. ეს სულ იოლი საქმეა. მაგრამ არ აკეთებენ. ასე ხდება სვანეთის ხე-ტყის სამრეწველო რაიონის უბნებზე, ასევე ხდება ადიგენის და მთელ რიგ სხვა რაიონების ტყეებში.

პლენუმმა გადასწყვიტა სათანადო ზომების მიღება ასეთი „სამეურნეო ხელმძღვანელების“ წინააღმდეგ.

* * *

# ჭადრაკი

## საკავშირო საჭადრაკო ტურნირის მეექვსე ტური

ლენინგრადი, 14 დეკემბერი. საკავშირო საჭადრაკო ტურნირის მეექვსე ტურში ჩეხოვერმა მოუგო ალატორცევს, ვერესოვმა სავიცკის, რაგოზინმა ილინ-ჟენევსკის, კანმა ფრეიმანს, იუდოვიჩმა რაუზერს. მოსკოვის და კიევის ჩემპიონების რიუმინის და ბოგატირჩუკის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა (ადს).

## მეექვსე ტურის შემდეგ წინ არის ლენინგრადელი მაესტრო ალატორცევი

ლენინგრადი, 15 დეკემბერი. გუშინ გათამაშებულ იქნა დაუმთავრებელი პარტიები. თამაში წარმოებდა 4 საათიდან საღამოს 11 საათსა და 30 წუთამდე. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გადადებული პარტიები ასეთი შედეგებით დამთავრდა: რაუზერმა მოუგო ჩეხოვერს, ლევენფიშმა ფრეიმანს, მაზელმა სავიცკის, ბელავენეცმა რაგოზინს, ალატორცევმა პანოვს, დუბინინმა ჩეხოვერს, რაბინოვიჩმა ლისიცინს, ბოგატირჩუკმა ილინ-ჟენევსკის, ლისიცინმა პანოვს, ვერესოვმა რაგოზინს, მაკაგონოვმა მაზელს და რაგოზინმა მაკაგონოვს. ყაიმით დამთავრდა ფრეიმან—ლისიცინის, ალატორცევ - დუბინინის, რიუმინ-ბელავენეცის, ბოგატირჩუკ - ბელავენეცის, ფრეიმან-რაბინოვიჩის და რაუზერ - ლევენფიშის პარტიები. დაუმთავრებელი დარჩა ლევენფიშ — რაბინოვიჩის პარტია.

მეექვსე ტურის შემდეგ წინ არის ლენინგრადელი მაესტრო ალატორცევი (4 ნახ.), შემდეგ კანი, ბოგატირჩუკი და ბელავენეცი (4). დუბინინი, იუდოვიჩი და რაგოზინი (3 ნახ.), ჩეხოვერი, მაზელი და მაკაგონოვი (3), ლისიცინი, რიუმინი, ილინ-ჟენევსკი და რაუზერი (2 ნახ.), ვერესოვი, პანოვი და სავიცკი (2) და ფრეიმანი (ნახევარი).

ხუთი პარტიიდან ლევენფიშს აქვს 3 ნახ. და რაბინოვიჩს 2 ნახ.

დღეს შესდგება მეშვიდე ტური. ამ ტურში ყველაზე მეტ ინტერესს იწვევს ალატორცევ-ლევენფიშის პარტია (ადს).

* * *

# აფხაზეთის ჯანსახკომის გამოფენა

სოხუმი, 12 დეკემბერი. აფხაზეთის საბჭოების მე-7 ყრილობისათვის ჯანსახკომი ამზადებს გამოფენას, რომელიც ასახავს ჯანმრთელობის დაცვის წარმატებებს აფხაზეთში, სამკურნალო დაწესებულებათა და მალარიის, ტუბერკულოზის და ვენერიულ სნეულებათა საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ქსელის ზრდას. ექსპონატები დამზადებულია ფოტოების, დიაგრამების და ნახატების სახით (ადს).

**შალვა დადიანი**

# პასპორტი

ჩვენ ვდგავართ ერთი მეორის წინაშე: ის სამოცი წლის ახალგაზრდა და მე სამოცი წლის მოხუცი.

ორთავენი სამოცისა ვართ, მაგრამ მე მოხუცი ვარ, რადგან ცალკეული პიროვნება ვარ, ის ახალგაზრდაა, ის ქალაქია.

სამოცი წელიწადი ჩემთვის უკვე მთელი ისტორიაა ჩემი, სულ ერთია ავია თუ კარგი, განვლილი და მოსრულებული.

მისთვის მხოლოდ ახლად ფეხის ადგმაა, პირველი თვალის გახელა.

მე ლიტერატურიდან ვარ მოვლენილი, ის თვით ცხოვრებამ წარმოშვა, ეკონომიურმა და სოციალურმა პირობებმა.

ჩემს სალიტერატუროთ მინდა დაწვრილებით გავიგო მისი ვინაობა.

და აი ვეკითხები ამ ნორჩს.

— თქვენი სახელი?

— ახალსენაკი.

— თქვენ ქალაქი ყოფილხართ.

— დიახ და რამოდენიმე წელიწადია მხოლოდ, რაც ქალაქად ვიწოდები.

— საიდგან წარმოდგა თქვენი სახელი?

ნორჩს ეცინება, ხალისიანი თვალებით შემომცქერის და მეუბნება:

— თითქო არ იცოდეთ ძველ სენაკში ხომ ყოფილხართ?

ეს ეშმაკობა იყო ნორჩის მხრივ: იცის, რომ მე ამ კუთხიდანა ვარ. ჩემი სოფლიდან მომავალი გზა ვერ ასცდება ძველ-სენაკს, რომელიც ახალ სენაკიდან 7 კილომეტრის მანძილზე ძევს აღმოსავლეთით და მეც ხშირად არამც თუ გზათ გამივლია, არამედ რამოდენიმე დღით დავრჩენილვარ კიდეც საქველ-მოქმედო წარმოდგენის გასამართავად ადგილობრივ სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ. იმ დროს 90-იან წლებში. ეს სკოლა იყო თითქმის სამეგრელოს თავად-აზნაურობის სიამაყე თუ არა ვიანგარიშებთ ადრინდელ მარტვილს (შემდეგ ახალსენაკში გადატანილს) სასულიერო სასწავლებელს რომლიდანაც შემდეგში გამოვიდნენ დღესაც ცოცხალი სასარგებლო საზოგადო მოღვაწეები

ვყოფილვარ აქაურ ძველი-სენაკის განთქმულ ბაზრობაზე, რომელიც იწყებოდა აგვისტოს 1-ლს და თავდებოდა იმავ თვის 15-ს აქ მოდიოდნენ სვანეთიდან. ლეჩხუმიდან იმერეთიდან და იყო გაჩაღებული ვაჭრობა სხვადასხვა საქონლით ებრაელობას მოჰქონდა ქარხნის ნაწარმი-ფართლეული და სხვა საწვრილმანო. იმერლებს — ღვინო და ადგილობრივ მოსახლეობას— ცხენები ხარები, აბრეშუმი. სიმინდი. ყველი და სხვ.

მის ხავს მეგრელი წერწეტა დედა-კაცები თავზე ფუთა-წამოდგმული ან კალათებით ხელში. ფეხ-შიშველი ასობით რომ მიეშურებოდნენ ბაზრისაკენ. მაგრამ მიუახლოვდებოდნენ თუ არა ჩამოჯდებოდნენ შარაგზაზე და თან წამოღებულ ქალამნებს „პოლსაბოტკებს“ ჩაიცვამდნენ. აკარწახებულ კაბებს ჩამოუშვებდნენ. ლოყებს ფერუმარილით გაილესავდნენ და ესე „გაკოხტავებული“ შედიოდნენ ძველ-სენაკში

ეს ოლიები იყო ძველი-სენაკისათვის „საცოცხლის მიმნიჭებელი“ თორემ ისე მეც მომსწრე ვარ მისი დაღონებისა და დასევდიანებისა, „რამეთუ იგი ათხელდებოდის“ ძველ მემატიანეთა ფრაზეოლოგია რომ ვიხმაროთ, და ახალ-სენაკი კი „დორძინდებოდის“.

ძველი-სენაკის ანარეკლია ახალი-სენაკი. ეს ყოველივე გამახსენდა, მაგრამ მაინც ჩემი კითხვები განვაგრძე.

— როდის დაიბადეთ, დაარსდით?

— ჩემი დაარსება უკავშირდება რკინის გზის სადგურის გახსნას, რომელსაც მაშინვე ეწოდა „ნოვო-სენაკი“. ეს იყო 70-იან წლებში, როდესაც პირველად გაყვანილ იქნა ფოთიდან გზა ზესტაფონამდე, ანუ მაშინდელ „ყვირილამდე“.

— მანამდეც იყო აქ ერთ-გვარი ცენტრი, ხომ?

— დიახ, აქ იყო ჯერ ოლქის სამმართველო. ოლქის პირველი უფროსი, როგორც მოგეხსენებათ, გახლდათ ის ბოროზდინი, რომელმაც მეტად საყურადღებო მოგონებანი დასწერა სამეგრელოზე.

— შემდეგ?

— შემდეგ სამაზრო ცენტრი გახლდათ რუსის მეფის საადმინისტრაციო დაწესებულებებით და პირველად აქ ისწავლა მეგრელმა გლეხმა „რუსული ატკაზი“. თქვენ გახსოვთ უთუოდ მაშინდელი მაზრის უფროსები?

კვლავ გახალისდა ნორჩი მოსაუბრე.

მახსოვს, ცხადია.

განსაკუთრებით მათ შორის ყველაზე უფრო ფერადოვანი გიორგი ბებურიშვილი, ჩასკვნილი, წვერ-ულვაშ-გაპარსული, რაიც ესე იშვიათი ამბავი იყო მაშინდელ ქართველობაში. რუსის ტიპიური „ჩინოვნიკი“, მაგრამ იმავ დროს მოლიბერალო და ქართველი პატრიოტი. მხოლოდ დიდად პატივ-მოყვარე კაცი, რომელიც დიდის ამალით დადიოდა თავის მაზრაში და როდესაც ვისმე თავადს ეწვეოდა სტუმრად, თავადები „აბეჰანდს უწყვედენ“ ისეთი რიდი ჰქონდათ იცოდა თავისებური თავის დაჭერა და მგონი სიკვდილამდე მართაკვა მაზრას არც ზევიდან მოხვედრია საყვედური და არც ქვევიდან უწყენინებიათ. მხოლოდ როდესაც საზოგადოებაში გამოვიდოდა დარბაისლურ ქართულით მოთქამდა საქართველოს წარსულს და „ვეფხის ტყაოსნიდან“ ამოღებულ აფორიზმებით ამშვენებდა თავის სიტყვებს.

შევწყვიტე ძველის მოგონება თუმცა „ბდგუთ“ მესეოდენ: აგერ ლაბახუას ერთი სართულიანი და ხუთ-ოთახიანი ერთად-ერთი სასტუმრო სენაკის ბულვარი, რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ. საცა ადგილობრივი მებატონეები თავადი მხეიძეები. მათ შორის ახოდანი ნაქეთი. სამსახურ-გარეშე მყოფის ოტია დადიანისა და მეტად პოპულიარული იმ დროს კერძო ვექილი ლუკა ყვანია დინჯათ სეირნობდნენ ახალ ჩასადილევს და შემდეგ პროფერანსის სათამაშოთ მიდიოდნენ ან ერთთან ან მეორესთან და თანადროულ პოლიტიკურ და ადგილობრივ ჭორებით ირთობდნენ თავსა. მხოლოდ ოტიასთან ძნელი იყო მისვლა დიდი ძუნწი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი და ერიდებოდნენ

მისი სიძუნწე ერთხელ მეც განვიცადე მან ირთი დადიანიც კი დაიშურა საზოგადო მოღვაწეობისათვის მითხრა:

□ □ □ □

— რა კარიერა აგირჩევია, შე-გლახა, შენ! აქტიორობა! იფ, იფ! შენ. ბიჭო, კავალერგარდის აფიცერი უნდა იყო ეხლა. ტანად ვარგხარ. გინდა მოგიხერხო?

დაიშურა, დაიშურა დადიანი, მაგრამ მე არ დავიშურე ნორჩისათვის კვლავ შეკითხვები.

— „რამსისქე“ იქნებით ამჟამად?

— სისქე? — ჩაიცინა — გავიგე: ამჟამად 10 ათასამდე მოსახლეობის პატრონი ვარ.

— ტერიტორია?

— დღეს მიჭირავს 550 ჰექტარი მჭიდრო მოსახლეობით, ხოლო 970—მთლიანად.

— გეოგრაფიული მდგომარეობა?

— მეტად ხელის შემწყობი. თვით ქალაქი მთა-გორიანი და ფერდობები პირდაპირ საჭაერო. უმთავრესი კი ის არის. რომ ჩვენ კვანძის ადგილი ვართ.

— როგორ თუ კვანძი?

— ჯერ ერთი აქ მოემართება ჩხოროწყუს და მარტვილის რაიონების გზა-ტკეცილები. ეს არის მათი გამოსავალი, მეორე —რკინისგზა აქ იყრებიან სამი გზები ტფილისისა, ფოთისა და ოჩემჩირისა. კვანძს მოგეხსენებათ დიდი მნიშვნელობა აქვს...

— როგორ იზრდებით?

— გასაბჭოების დღიდან მოსახლეობის მხრივ ორნახევარჯერ გაიზარდა ქალაქი, ხოლო მისი სამეურნეო ზრდა წლიდან-წლამდე თვალ-საჩინო ხდება და ამასთანავე დიდ პერსპექტივებსაც ითავსებს.

— ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ წარმომიდგინეთ საბუთები, რა გაქვთ წარმოსადგენი?

— მოგახსენოთ: ქალაქში გვაქვს ქვის კარიერი უამრავი მარაგით, რომლითაც სარგებლობს მეზობელი რაიონები და განსაკუთრებით ქ. ფოთი თავის კარიერებთან —კირის ქარხანა. ამ ქარხანასა და კარიერებისაკენ ამ წელს უკვე გაჰყავთ რკ. გზის ჩიხი. რაც ტრანსპორტს გააიაფებს და წარმოების პროდუქციის გადიდებასაც ხელს შეუწყობს ორივე სახის პროდუქცია 3000 ვაგონამდე წლის განმავლობაში.

— კიდევ.

— კიდევ. წვრილ წარმოებათა შორის აღსანიშნავია: ტყავის ქარხანა, ვრცელ ავეჯეულის ქარხანა, მინერალური წყლების ქარხანა. სახერხი ქარხანა.

— უფრო მნიშვნელოვანი.

— უფრო მნიშვნელოვან წარმოებად უნდა მივიჩნიოთ რამის გად. მუშავებელი ქარხანა „საჭრამის მექანიკური ბაზის“ სახით. ამ ქარხანაში გასულ წლიდან უკვე რამის ბეწვეულის გამომუშავება დაიწყო. ამ წელს მცენარეულ აბრეშუმის ნიმუში (რამოდენიმე ტონა) უკვე მოგვცა ქარხანამ. ეს სიმცირე გამომუშავებისა ჯერ-ხანობით აიხსნება იმით, რომ ჯერ კიდევ რამი არ არის დიდ ტერიტორიაზე მოშენებული და არსებულ პლანტაციებზე რამის ასაკი ჯერ კიდევ ნორჩია. ეს ქარხანა ერთად ერთია საქართველოში და ყველა ადგილიდან აქ მოდის რამის ღერო. იმავე დროს სენაკის რაიონი უმთავრესი ბაზაა რამის კულტურისა. სწორედ ამისათვის საჭირო მუშაკების მოსამზადებლად სენაკში სპეციალური, ბოჭკოვან კულტურათა ტექნიკუმი არსებობს.

— ჯანმრთელობაზე როგორა ხართ?

— გვაქვს ჩინებული საავადმყოფო მალარიასთან და პელაგრასთან მედგრათ მებრძოლი, გვაქვს რენტგენის ფართოდ და უკანასკნელი ტექნიკით მოწყობილი კაბინეტი ექ. ყვანიას მეთაურობით.

— ვიცი. ორთავე დათვალიერებული მაქვს და საჭიროა, რომ ორთავე ცალკე იქნეს ასახული ჩვენს პრესაში.

მაგრამ ნორჩმა არ მაცალა და თავის პასპორტში ნიშნებათ ჩასაწერათ შემდეგიც გადმომცა.

— ქალაქმა რომ მთლიანად მიიღოს შესაფერი სახე და შინაარსი. გაჩაღებულია შემდეგი მუშაობა. მე ვამბობ კურორტ „მენჯის“ მშენებლობაზე. ეს კურორტი ქალაქის მომიჯნავეა თავისი ზონით და ქალაქი მის საბინაო ბაზას წარმოადგენს სანამ იქ ფართო აღმშენებლობა ჩატარდება. მომავალში კურორტი ქალაქის ბუნებრივი ნაწილი შეიქნება დასავლეთის მიმართულებით თვით „მენჯის“ წყაროები განთქმულ „მაცესტის“ ანალოგიაა.

შევატყვე. რომ ნორჩი ხანგრძლივათ ილაპარაკებდა და ხელი აღარ შევუშალე. ის ამბობდა:

— კურორტის გვერდით გაშენდება ცემენტის ქარხანა მილიონ კასრის წლიური პროდუქციით. ადგილები ამორჩეულია. სწარმოებს უკანასკნელი მიკვლევა და 1935 წლიდან ქარხნის მშენებლობაც დაიწყება ეს ორი დიდი ობიექტი ქალაქს სახის მთლიანად გარდამქმნელი და [illegible]. ამათ გარდა ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში ამ წელს დიდი ტერიტორია დაეთმობა აეროდრომს, რომლის საზღვრები მდ. ტეხურს სწვდება. ამ გვარათ ქალაქის ტერიტორიის ზრდა ერთ ორ-სამ წელიწადში, ამ ფაქტორების მიხედვით, აღისახება მდ. ტეხურისა და მდ. ცივს შორის მოცულობით. კიდევ! ქალაქი იწყებს სახალხო თეატრის აგებას. გეგმა მზად არის დაწყებულია მასალების დამზადება, სახსრების შექმნა. გაშენდება 35—36 წლებში. წრეულსვე იწყება წყალსადენის მშენებლობა. წყალი მოგვყავს წყარო „ჩხარიდან“, რომელიც სოფ. საწულეისკიროშია, სენაკიდან 10 კილომეტრის მანძილზე. ყოველივე მზად არის იმისათვის. რომ მომავალ გაზაფხულიდან მშენებლობა დაიწყოს და იმ წელსვე დამთავრდეს.

შეისვენა. შევეკითხე.

— მეგრულათ ლაპარაკობთ?

— როგორ არა, მხოლოდ დედა-ენათ ქართული მიგვაჩნია. კარგად ვიცით ოქტომბრის რევოლუციის ენაც, რუსული.

— ვინ გპატრონობთ?

— ქალაქის უფროსია ამხ. ოჩიგავა, ახალგაზრდა, დაუდადებული მუშაკი. პარტიული ხაზით — რაიკომის მდივანი ამხ. იასონ ბეჟვაია და ამხ. დგებუაძე, რომელთა გონივრულ მუშაობას მოსახლეობაში დიდი პოპულიარობა აქვს მოხვეჭილი. რასაკვირველია ბევრნი არიან სხვებიც სასარგებლო მომუშავენი, მაგრამ ჩვენ ვამაყობთ ძველი მოღვაწეებითაც. თითქმის ჩვენი ბუდიდან არის წამოსული, ახლობელ სოფელ ეკიდან—ვალერიან გუნია, [illegible] სოფ. ბერთემიდან...

დაიწყო ქათინაურები, შევაჩერე.

— გუნიას და მე მხოლოდ გზად გავივლია...

ის არა ცხრებოდა. სათვალავს ერთი ბრგე ვაჟკაცი მოუმატა:

— ახალგაზრდა, სახალხო არტისტი აკაკი ხორავა.

— სასახელო მსახიობია. ეგ მართლა თქვენი არის. გულდაგულ სენაკელი.

ამაზე შევრიგდით.

მთელ ნაუბარიდან კი ესეთი საპასპორტო ჯამი გამომივიდა შემდეგ რუბრიკებათ:

**სახელი** — ახალსენაკი.

**მამის სახელი** —ეკონომიური მდგომარეობა.

**გვარი** — მეგრელიშვილი.

**დაბადება** — სამოცდა-ათიანი წლები.

**პროფესია** — ქალაქი.

**სოციალური მდგომარეობა**—მუშა.

**განათლება** — საშუალო. უფრო მედიკურ. ბუნებისმეტყველურ განხრით.

**განსაკუთრებული ნიშნები.**

1. მაღალი, მთაგორიანი.
2. მარცხენა ყბაზე ხალი—„მენჯის“ სამკურნალო წყლები.
3. ბეჭებ-განიერი. 970 ჰექტარის მოცულობისა ჯერ-ჯერობით.

**ფეხები** — გრძელი, რკინისგზისა, ცოტა გაჩაჩხული.

**მკლავებიც** — მხარ-გრძელი მარტვილამდე და ჩხოროწყუმდე მწვდომი გზატკეცილებით.

**ოჯახური მდგომარეობა** — წევრები 10.000 სული; კმაყოფაზე — ქარხნები, საავადმყოფოები. სასწავლებლები.

**ცალკე შენიშვნა**: სწავლობს ფრენას.

ხელი მოვაწერე. მხოლოდ შემდეგში გავიხსენე და ამ საკვირველ პასპორტს ესეც დავუმატე:

„ნორჩი ნიჭიერია“!

◆

ტფილისში, ალმასკომის ქუჩაზე დამთავრდა შენობის აგება საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მუშაკთათვის.

სურათზე: ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მუშაკთა ახლად აგებული სახლი.

□ □ □ □

# ხელოვნება

## გაიხსნა ქუთაისის მუშა-ახალგაზრდობის სახელმწიფო თეატრის სეზონი

12 დეკემბერს, ქუთაისში გაიხსნა საქართველოს მუშა-ახალგაზრდობის სახელმწიფო თეატრის 1934—35 წლ. სეზონი.

დადგმულ იქნა პრემიერა ი. პრუტის „თორმეტი“ („თავადი მსტისლავ უდალოი“), გადათარგმნილი ნიკოლოზ აგიაშვილის მიერ.

რეჟისორ ვ. მურღულიას და ახალგაზრდა მსახიობთა კოლექტივს დიდი შრომა გაუწევიათ სპექტაკლის სათანადოდ მომზადებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო მსახიობების ალ. გამრეკაშვილის, მ. აჭარაძის, შ. [illegible], იმედაძის და სხვათა გულწრფელი თამაში.

სეზონის გახსნას დიდძალი ხალხი დაესწრო.

მუშა-ახალგაზრდობის სახელმწიფო თეატრი, უკვე ერთი წელიწადია არსებობს. თეატრის ხელმძღვანელის ამხ. შოთა მანაგაძის ენერგიული მუშაობის შედეგად, მან უკვე საკმაო ავტორიტეტი მოიხვეჭა. მომავალ წელს თეატრი გადმოტანილი იქნება ტფილისში.

მიმდინარე სეზონში განზრახულია დადგმულ იქნას შემდეგი დადგმები: „სხვისი ბავშვი“ შკვარკინისა, „ალილუია“ დაირაჯიევის და გაბესკირიასი, „ქალიშვილები“ მიკიტენკოსი — გადმოკეთებული შ. მანაგაძის და შ. დადიანის მიერ.

ამავე დროს დადგმული იქნება კიდევ 2 ახალი პრემიერა: „ესკადრის დაღუპვა“ კორნეიჩუკისა, „ბერილი“ („საუცხოო შენადნობი“) კირშონისა — გადმოკეთებული ს. ჩიქოვანის და ი. აბაშიძის მიერ.

აღსანიშნავია, რომ საქ. განსახკომი სათანადო ყურადღებას არ აქცევს ამ ფრიად საჭირო და საყურადღებო თეატრს. განსახკომს ამ რამოდენიმე თვის წინათ თეატრისათვის უნდა გადაერიცხა 20.000 მანეთი, რაც დღემდე შესრულებული არ არის. ამან ძალიან შეუშალა ხელი სეზონის დროზე გახსნას.

განსახკომმა უნდა იზრუნოს ჩვენი ახალი თაობის თეატრზე.

შ. ნ.

# ქრონიკა

— 19 დეკემბერს, საღ. 8 საათზე, აუდიტორია № 88-ში უნივერსიტეტის სალიტერატურო-სამეცნიერო წრის საჯარო სხდომაზე პროფ. შ. ნუცუბიძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „ფაშიზმი და კულტურა“, შესვლა თავისუფალია.

— 19 დეკემბერს საღ. 7 საათზე მწერალთა სასახლეში მწერალი სიმონ ქვარიანი წაიკითხავს თავის ისტორიულ რომანს —„დიდი მოურავი“. რომანის შეფასებაში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები და ისტორიკოსები. შესვლა თავისუფალია.

19 დეკემბერს საღ. 7 საათზე რუსთაველის სახ. ლიტერატურის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში (უნივერსიტეტი. ოთახი № 77) შედგება ახალი ქართული ლიტერატურის სექციის სხდომა. მოხსენებებს წაიკითხავენ 1) შ. რადიანი—„რაფ. ერისთავის პოეზია“, 2) ი. გრიშაშვილი: ა) აკაკის უცნობი პოემა „ვორონცოვი“ და ბ) ი. ქავთარაძე, როგორც საანდაზო ლექსების ამომკრები. დასწრება თავისუფალია.

— 19 დეკემბერს საბურთალოში ბახტრიონის ქუჩაზე 11-დან 15 საათამდე წარმოებულ იქნება აფეთქების სამუშაოები.

# პარტკალენდარი

— 19 დეკემბერს საღამოს 7 საათზე კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის პარტკაბინეტში შესდგება ხელმძღვანელი პარტაქტივის სემინარის მეცადინეობა.

მეცადინეობის თემა: „კარლ მარქსის ეკონომიური მოძღვრება“.

იქვე 19 დეკემბერს საღამოს 7 საათზე შესდგება ხელმძღვანელი კომკავშირული აქტივის სემინარის მეცადინეობა. თემა: „ლენინიზმის ისტორიული ფესვები“.

* * *

— საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის ს. ორჯონიკიძის სახ. რაიკომი იუწყება, რომ ა. წ. 20 დეკემბერს საღამოს 7 საათზე რაიკომის სხდომის დარბაზში შესდგება პარტგანათლების ყველა ტიპის სკოლების და წრეების პროპაგანდისტთა თათბირი.

სავალდებულოა ყველა პროპაგანდისტების გამოცხადება.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1934-35 წ. სეზონი

| დღეს | 19 დეკემბერს | 20 დეკემბერს |
|---|---|---|
| ორი წარმ., დღისით<br>ქეთო და კოტე<br>საღამოთი<br>მე-7 აბონ 4 წარ.<br>რიგოლეტო | მე 9 აბონ 5 წარ.<br>შოთა რუსთაველი | 8 აბონ 5 წარ<br>პრემიერა<br>ბალეტი<br>გედების ტბა |

ის აბონენტები რომლებსაც არ ექნებათ გადახდილი მე-6 საბონემენტო შესატანი. კოგავეს წარმოდგენაზე დასწრების უფლებას ხოლო იათი ადგილები გაიყიდება

შესატ. მიღება და ბილეთების გაყიდვა წარმოებს ყოველ დღე, დღისით 11 დან 2 საათამდე, საღ. 6-დან 9 საათამდე

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე

რუსთაველის თეატრი სახალხო არტისტ სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით

| დღეს | 20 დეკემბერს | 21 დეკემბერს |
|---|---|---|
| 4 აბონ. 3 წარ.<br>ინტერვენცია | მე-8 აბ. 3 წარ.<br>ინტერვენცია | მე 9 აბ. 3 წარ<br>[illegible] |

მეოთხე გადასახადი სავალდებულოა.

შეტანილი უნდა იქნას თეატრის სალაროში წარმოდგენის დღის 2 საათამდე

სალარო ღიაა 11-2 ს. 6-9 საათამდე.

დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი

| | |
|---|---|
| 18 დეკემბ.<br>აბონ. № 9<br>მე-2 წარმ. | წარმოდგენა № 40<br>ესკადრის დაღუპვა |
| 20 დეკემბ.<br>აბონ. № 1<br>მე-3 წარმ. | წარმოდგენა № 41<br>ესკადრის დაღუპვა |
| 21 დეკემბ.<br>აბონ. № 5<br>მე-3 წარმ | წარმოდგენა № 42<br>ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ |

აბონენტთათვის სავალდებულოა მეოთხე გადასახადი.

სალარო ღიაა 11-2 ს. 6-9 ს. დასაწყისი 8 საათზე.

ოქტომბერი 12, 2, 4, 6, 8, 10

დამკვრელი 5, 7, 9, 11

ტემპი 6-30, 8, 9-30, 11

რ. ლუქსემბურგის სახ 5-30, 7-20, 9-10, 11

„26“-ის კომ სახ 1, 8-30, 10

დიდი ხმოვანი ფილმი ჩაპაევი

რეჟისორები ძმ. ვასილიევები.

კ თეატრების დირექტორებთან მიიღება განცხ. სურათზე კოლექტ. დასწრების შესახებ ყოველდღე 12—4 საათამდე.

მხატვრული ფილმი რისთვის დასაჯეს

ხმოვ. ფილმი [illegible] მასკარადი

დღისით 11-30 წ

ადათის გავლენის ქვეშ

ხმ ფილმი სიკვდილის კონვეიერი

დღის 12 ს პატარები და დიდები

მიიღება ხელისმოწერა გაზ. „კომუნისტზე“ 1935 წლისათვის

[illegible] რედაქცია რუსთაველის პროსპექტი № 16. გამომცემლობის რუსთაველის პროსპ № 84 ტელეფონები რედაქტორის 3 62 26 რედაქტორის მოადგილის 3 62 03 პასუხისმგებელი მდივნის 3 [illegible] მასობრივი განყოფილების 3—73 24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57 61, სამრეწველო განყოფილების 3—73 40, ადმინის 3-27 04 გამომცემლობის — 3-51 81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს

ტირაჟი 98.000.

სტამბა [illegible] კომუნ. № [illegible]

მთავლიტის რწმუნებული 9426